


არქიმანდრიტი რაფაელი
(კარელინი)

ხატი
„დიდება საქართველოს
საკათოლიკოსო ეკლესიისა“




თბილისი
2006

იბეჭდება ბათუმისა და სხალთის
მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით



თარგმნა ია მელიქიძემ
მხატვარი: მარიამ ჩხაიძე

გამომცემელი: ასოციაცია „კვირიაკე“



ხატი

„დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა“

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საქართველოს სულიერ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ცნობილ-მა ჰაგიოგრაფმა და ხატმწერმა – მიქაელ-გობრონ საბინაშვილმა – მის მიერ გულმოდგინედ შესწავლილი ძველქართული ფრესკების, ხატებისა და მინიატურების საფუძველზე დაწერა ხატი „დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა“, რომელიც ქართული ჰაგიოგრაფიის დიდებულ კრებულს ჰკავს.

საბინაშვილი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო, ბავშვობიდან დადიოდა საქართველოს მონასტრებში და წმინდა ადგილებზე, დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მონაზვნებთან, პირად ცხოვრებაში იყო მოღვაწე და მსცოვანების ჟამს დაწერა ეს დიდებული ხატი, როგორც წმინდა პოემა, როგორც სულიერი ანდერძი შთამომავლობისადმი, როგორც საქართველოს

ეკლესიის ჰიმნი. ხატის უკიდურესად შემცირებულ სივრცეში მან საქართველოს წმინდანების: მოწამეთა და ღირსთა, მეფეებისა და მეომრების, ეპისკოპოსებისა და ბერების სახეებში ხორცი შეასხა საქართველოს სულიერ ისტორიას.

ამ ხატზე, როგორც ნათლის არეში, მორწმუნე ხალხის სულია ასახული. მასთან ლოცვით მდუმარებას დაუსადგურებია და ამ დუმილში საქართველოს ეკლესიის ცოცხალი გულის ცემა ისმის. საბინაშვილი არა მარტო ხატმწერი, არამედ მართლაც ჩინებული ჰაგიოგრაფი და ისტორიკოსია. საქართველოს წმინდანთა ცხოვრებანი მან ერთ დიდ კრებულად გააერთიანა და ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა. ყოველ ცხოვრებას ლოცვა დაურთო. ძველ ხატებსა და ფრესკებს იგი არა მარტო სწავლობდა, როგორც მხატვარი, არამედ ლოცვით განჭვრეტდა მათ და მისტიკურად განიცდიდა. ამიტომაც მისი ხატი უებრო შინაგანი კომპოზიციური ჰარმონიით, ისტორიული სიმართლითა და მაღალი სულიერებითაა აღბეჭდილი.

მართლმადიდებლური ხატი არის საღმრთო განცხადება, წმინდანთა რეალური მყოფობა დედამიწაზე, სულიერი სამყაროს გამოვლინება ვიზუალურ სიბრტყეზე, საღმრთო ძალისა და ენერჯის განფენის ასპარეზი, ზეციერი ეკლესიის გამოვლენა მიწიერ ეკლესიაში. ხატი მისტიკური სარკმელია ზეცაში, საიდანაც უხილავი ნათელი იფრქვევა დედამიწაზე. ამიტომ ხატი „დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა“ თვით საბინაშვილის მიღწევა იმდენად არ არის, რამდენადაც საბოძვარი ღვთისა საქართველოს მთელი ეკლესიისადმი. ხატის მისტიკური შემოქმედნი მასზე გამოსახული ღირსნი და მოწამენი არიან.

საქართველოს მატთანე „ქართლის ცხოვრება“, სვეტიცხოვლის ტაძარი და ხატი „დიდება საქართველოს საკათოლიკოსო

ეკლესიისა“ თავიანთი საზომითა და მნიშვნელობით შეუდარებელი მოვლენებია, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებთ: მათში აისახა საქართველოს ეკლესიის ისტორია: ერთმა მათგანმა ეს განახორციელა პერგამენტზე, მეორემ – ქვაში, მესამემ – საღებავებით.



ხატის ზედა ნაწილში გამოსახულია იესო ქრისტე – ამაღლების ხატის მსგავსად – კურთხევად ხელაღპყრობილი. ქრისტესგან განეფინება ნათლის სხივები; ისინი აცისკროვნებენ ზეცას და დედამიწას, ორ ურთიერთგამჭოლ სფეროდ აქცევენ მათ და აერთებენ საღმრთო ლოგოსის ერთიან ეკლესიად, რომელიც ცხადდება სიცოცხლედ და ნათლად.



ქრისტეს მარჯვნივ გამოსახულია დედა ღვთისა; მას ხელში უპყრია ომოფორი – ვიწრო, გრძელი თავსაბურავი, რომელსაც იუდეველი ქალწულები იფარებდნენ თავზე. დედა ღვთისა თავის ბრწყინვალე ომოფორს განართხამს საქართველოს ეკლესიაზე; ასე ოდესღაც მან ვლადიმერის ტაძარში მლოცველებზე განიპყრო ომოფორი, როცა კონსტანტინეპოლი მტრის ალყაში იყო მოქცეული, თითქოს გიგანტური რვაფეხას საცეცხეში მომწყვდეული.

საეკლესიო გარდამოცემა გვაუწყებს, რომ ივერია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოციქულო ხვედრია. ქრისტეს ამაღ-

ლების შემდეგ მოციქულები სიონში, მოციქულ მარკოზ იონას სახლში შეიკრიბნენ, რათა გადაეწყვიტათ, რომელ ქვეყანაში წავიდოდა თითოეული მათგანი. ქალწულმა მარიამმა ისურვა, მოციქულის ღვაწლი ეტვირთა — ქრისტიანობა ექადაგა — და მას წილად ხვდა ივერია. დედა ღვთისა მოემზადა გასამგზავრებლად, მაგრამ მას უფალმა იერუსალიმში დარჩენა უბრძანა და აღუთქვა, რომ მისი წილხვედრი შემდგომში ეზიარებოდა ქრისტიანობის ნათელს. მაშინ ღვთისმშობელმა იხმო მოციქულები — ანდრია და სვიმეონი — და მათ თავისი ხელთუქმნელი ხატი გადასცა საქართველოს საკურთხებლად. ცნობები ამის შესახებ დაცულია ქართულ და რუსულ მატიანეებში, აგრეთვე ნიკონ შავმთელის ერთ თხზულებაში. საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედომილი უწოდა ბოლო დროის უდიდესმა წმინდანმა — ღირსმა სერაფიმ საროველმა, რომელსაც თავის სიცოცხლეში ბევრჯერ გამოეცხადა ზეცის დედოფალი.

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილია ანგელოზების საიდუმლო ბრძოლა საღმრთო საყდრის წინაშე. ერთ ანგელოზს სიმბოლურად ჰქვია „მთავარი მეფობისა სპარსთაჲსაჲ“ (დან. 10. 13), ხოლო მეორეს — „მთავარი ელლინთაჲ“ (დან. 10. 20). მათი წინააღმდეგომი მთავარანგელოზი გაბრიელია.

ეგზეგეტები, ბიბლიის განმმარტებლები, გვიხსნიან, რომ ზეციერი ეკლესია მონაწილეობს ღვთის განგებულებაში მსოფლიოს ხალხებზე — ყოველ ქვეყანას, ხალხს და ტომს მიეცა მფარველი ანგელოზი, და ანგელოზების სიმბოლური ბრძოლა არის მათი ლოცვა მსოფლიოს ხალხებისათვის. ამ შემთხვევაში იუდეველი ხალხის ზეციერი მფარველი — გაბრიელ მთავარანგელოზი ლოცულობდა ბაბილონის ტყვეობის დასრულებისათ-

ვის და იუდეველი ხალხის სამშობლოში დაბრუნებისათვის, რათა მათ აღედგინათ იერუსალიმის ტაძარი. სპარსელი ხალხის მფარველი ანგელოზი ლოცულობდა ბაბილონის ტყვეობის გაგრძელებისათვის, რათა სპარსელებს ებრაელი ხალხის მეშვეობით მიეღოთ ერთი ღმერთის რწმენა. ორივე ანგელოზი ღვთის დიდების მოშურნე იყო, ორივე ლოცულობდა ხალხის ცხონებისათვის. ამიტომ ანგელოზების ლოცვა იყო კეთილმსახური ბრძოლა, ანგელოზების სიყვარულის გამოვლინება მათ მფარველობაში მყოფი ხალხის მიმართ.

საქართველოს მფარველი ანგელოზი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე ეს არის საღმრთო მოწოდება ღვაწლისა და თავდადებისაკენ. საღმრთო სიყვარული შეიცნობა განსაცდელელებით. ამის შესახებ უფალმა მოციქულებს უთხრა: „სასუმელი სამე, რომელსა მე ვსუამ, სუათ“ (მრკ. 10. 39). ღვთისმშობლის ცხოვრება ღვთის უსიტყვო მსახურება, ჯვარი და ტანჯვა, სულიერი გოლგოთა იყო. საქართველოს ეკლესიის ისტორიული გზა მოწამებრივი გზაა, წარმართულ და მუსულმანურ სამყაროსთან მართლმადიდებლობისთვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გზა.

საქართველოს ისტორია ვნებების დამთმენელთა სისხლითა და ღირსთა ცრემლით დაწერილი წიგნია, განათებული ხანძრების მეწამული ალითა და ელვისებური, ცეცხლოვანი ბრძოლებით. იყო დრო, როცა საქართველო თითქოს კუნძული იყო სხვა სარწმუნოებების აღმსარებელი სამყაროს აზვირთებულ ზღვაში, რომელიც გრუხუნითა და ზრიალით აწყდებოდა მის ნაპირებს, თავს ატეხდა მთებივით აზიდულ, სისხლის ქაფიან უზარმაზარ ტალღებს, და შავბნელი, მძვინვარე მორევი საქართველოს დანთქმას უქადდა. მაგრამ ზეცის დედოფალი სწყა-

ლობდა საქართველოს; მისი შუქმფენი ომოფორი საქართველოს ეკლესიის საფარველია.

ჰუნების, ხაზარებისა და მონღოლების დიდ-დიდი იმპერიები აიხვეტნენ პირისაგან მიწისა. ბევრი ხალხის არსებობას ჩვენ მხოლოდ ქვაზე ამოტვიფრული გაცრეცილი წარწერა ან შემთხვევით ნაპოვნი მონეტა გვატყობინებს. სხვა ხალხები და ტომები მოისპნენ ისე, რომ კვალიც არ დაუტოვებიათ ისტორიის ანალებში. საქართველომ კი საუკუნეთა ქარიშხლები მოიგერია, საკუთარი გულივით დაიცვა ქრისტეს სახელი და საკუთარი სულივით – მართლმადიდებლობა.

ქალწულმა მარიამმა თავის ცხოვრებაში ააყვავილა ყველა სათნოება, მაგრამ განსაკუთრებით ბრწყინავს იგი სიმდაბლით, სიწმინდითა და სიყვარულით. საქართველოს ქრისტიანები თავიანთ გულში ამ სამ სათნოებას კეთილდღეობის სხვა აჩრდილებზე თუ არ გაცვლიან, მისი სხივცისკროვანი ომოფორი ანგელოზის ფრთებივით დაიფარავს საქართველოს ეკლესიას ყოველგვარი განსაცდელის ჟამს.



ქალწულ მარიამის გვერდით გამოსახულია წმინდა დიდმოწამე გიორგი კაბადუკიელი – წმინდა მოციქულთასწორი ნინოს ნათესავი. იგი ბრწყინვალე მხედართმთავარი და იმპერატორისთვის საყვარელი ადამიანი იყო; მაგრამ ქრისტესთვის მოწამეობა ამჯობინა ამა სოფლის დიდებას და ჭეშმარიტი მეომარივით მოკვდა სულიერ ბრძოლაში, რომელშიც თვით სიკ-

ვდილი მისი იქცა ძლევად. სატებზე წმინდა გიორგი ხშირად გამოისახება მხედრის სახით, რომელიც ლახვრავს დრაკონს – საძაგელ ურჩხულს – დემონის, წარმართობის, ბოროტებისა და ცოდვის სიმბოლოს. წმინდა გიორგის პატივისცემას საქართველოში სათავე დაედო წმინდა ნინოს ქადაგების დროიდან და მალე იგი ქართველი ხალხის საყვარელი წმინდანი გახდა. იესო ქრისტესა და ქალწულ მარიამის შემდეგ მის სახელს ქართველები ყველაზე ხშირად მოუხმობენ ლოცვებში, განსაკუთრებით – საქართველოს მთიანეთში. ივერიის მიწაზე მის სახელზე აშენებულია გაცილებით ბევრი ტაძარი და ეგვტერი, ვიდრე სხვა რომელიმე წმინდანის სახელზე. საქართველოს ეკლესიაში დაწესებულია წმინდა გიორგის განსაკუთრებული დღესასწაული – ურმის თვალზე მისი წამების ხსენება. უძველესი დროიდან წმინდა გიორგის გამოსახავდნენ სამხედრო აღმებზე და ბაირალეებზე; იგი ამშვენებდა ქართველი მეფეების – ბაგრატიონების საგვარეულო გერბს. დრაკონის მლახვრავი წმინდა გიორგის სახე – სახე უშიშარი მხედრისა, მეომართა ზეციერი მფარველისა – მშობლიური და ახლობელი გახდა ქართველი ხალხისათვის, რომელსაც ხშირად უხდებოდა შეჭიდება მრისხანე და ძლიერ მტრებთან.



მაკურთხეველი ქრისტეს მარცხნივ დგანან მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და მატათა.

წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული თავდაპირველად იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო. როგორც კი შეიტყო თავისი მოძღვრისგან, რომ იესო ნაზარეველი არის


მსოფლიოს მაცხოვარი და მესია, მაშინვე ირწმუნა იგი და ქრისტეს შეუდგა. წმინდა ანდრიამ სასუფევლის სახარება იქადაგა ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში – სირიაში, საბერძნეთში, კოლხეთში, ივერიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბალკანეთში, თავრიზში, სკვითიაში... ქალაქ ბიზანტიონში (შემდგომში – კონსტანტინეპოლი) ეპისკოპოსად ხელნი დაასხა სტაქეს.

ანდრია პირველწოდებული ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში. მან ჯვრები აღმართა მცხეთის მახლობლად და ჯვრის უღელტეხილზე, იქადაგა ქრისტეს სარწმუნოება და ქრისტესადმი მოაქცია ბევრი წარმართი. ბოლოს საბერძნეთში ჩავიდა, სადაც ქალაქ პატრეში სიკვდილით დასაჯეს, გააკრეს ჯვარზე, რომელიც ორი სვეტით იყო ჩადგმული მიწაში (ანდრიას ჯვარი). ის ოთხი დღის განმავლობაში ქადაგებდა ჯვარზე დაკიდებული და მის წინაშე შეკრებილ ურიცხვ ხალხს მხიარული პირით ასწავლიდა ქრისტეს სარწმუნოებას. მისი ნეშტი აღმოიყვანეს კონსტანტინეპოლში და წმინდა მოციქულთა სახელზე აშენებული ტაძრის საკურთხეველში დაკრძალეს.

მატათა მოციქული წილისყრით შეირაცხა თორმეტთა შორის იუდა ისკარიოტელის ნაცვლად. მან სასუფევლის სახარება იქადაგა კოლხეთში, ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია სვანები და მათი დედოფალი დიოდორა. მოციქული დაბრუნდა იერუსალიმში, სადაც სინედრიონმა მას ისეთივე ხვედრი განუმზადა, როგორიც სტეფანე პირველმოწამეს: მატათა ქვებით ჩაქოლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში იქადაგეს აგრეთვე მოციქულებმა: სვიმონ კანანელმა, რომლის საფლავიც ანაკოფიაში (ახალ ათონში) მდებარეობს, და ბართლომემ – მან სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მოვლო ქადაგებით. ზოგიერთი ცნობით, კოლხეთში იყო წმინდა მოციქული და მახარებელი

მათე – ეთიოპიაში მოგზაურობამდე. მოციქულებმა დააარსეს პირველი ქრისტიანული საკრებულოები, ხელნი დაასხეს ეპისკოპოსებსა და პრესვიტერებს. მათი ქადაგება განთიადის ბროლისებრ ეთერს ჰგავდა – მისმა სხივებმა ოქროსფრად შეღება მათათა მწვერვალები, მაგრამ დაბლობები ჯერ კიდევ არმურსა და ბურუსში იყო გახვეული.



საქართველოს ეკლესიის პირველი წმინდანი (დროის მიხედვით) არის ნეტარი სიდონია – მცხეთელი იუდეველი, რაბინ ელიოზის და. მას ქრისტე არ ენახა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ ის არის მესია და მსოფლიოს მაცხოვარი, მაშინვე ირწმუნა იგი, ირწმუნა მთელი თავისი ძალითა და გულის სიყვარულით. და როცა სიდონიას ძმა მაცხოვრის ჯვარცმის წელს მომლოცველებთან ერთად იერუსალიმში მიდიოდა, იგი ევედრა ძმას, მცხეთაში ჩამოეტანა ქრისტეს კუთვნილი რომელიმე ნივთი, როგორც უდიდესი ევლოგია.

ელიოზმა შეასრულა დის თხოვნა. იგი გოლგოთაზე იყო მაცხოვრის ჯვარცმის დროს; მისი დასჯის აღმსრულებელი ერთ-ერთი მეომრისგან იყიდა ქრისტეს კვართი და ეს ფასდაუდებელი განძი მცხეთაში ჩამოიტანა. წმინდა სიდონია ძმას ქალაქის ბჭესთან მიეგება. ელიოზმა მას უამბო, რაც მოხდა გოლგოთაზე, და კვართი გადასცა. სიდონიამ კვართი სურვილით შეიტკბო მკერდზე და უზომო მწუხარებისგან (მაცხოვრის ჯვარცმისა და ვნების გამო) მყისვე უსულოდ დავარდა მიწაზე. მთელი ქალაქი შეიკრიბა ნეტარი ქალწულის ცხედართან.

მეფე ადერკმა კვართი რომ იხილა, ძალიან მოეწონა და მისი ჩაცმა მოისურვა. მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო მკვდარი ქალწულის ხელების გაწევა, და იგი ისევე დასაფლავეს „სანატრელითა დამარხვითა“ (იხ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“; 1882; გვ. 78) – მკერდზე მიკრული კვართიანად. ამ ადგილზე აღმოცენდა დიდი კედარი (ლიბანის ნაძვი), რომელმაც სიდონიას საფლავი თავისი ფესვებით დაფარა. ეს ხე სამი საუკუნის განმავლობაში იდგა სიდონიას საფლავზე. მცხეთელებმა შენიშნეს, რომ ავადმყოფი ფრინველები მოფრინდებოდნენ ნაძვთან, მის ტოტებზე სხდებოდნენ, წიწვებს კენკავდნენ და გამოჯანმრთელებულები გაფრინდებოდნენ ხოლმე; ველური მხეცებიც კი მოდიოდნენ კედართან და ჩამოცვენილ წიწვებს შეეჭკოდნენ. გავიდა საუკუნეები; ადამიანებმა დაივიწყეს საუფლო კვართიც და სიდონიას საფლავიც, მაგრამ კედარი ხალხის კრძალულებისა და პატივისცემის საგნად რჩებოდა.

ქრისტეს კვართი საქართველოს ეკლესიის ყველაზე დიდი სიწმიდეა. საკრალური გაგებით სვეტიცხოვლის ტაძარში, როგორც სამეუფო კიდობანში დაბრძანებული საუფლო კვართი შეიძლება ვამსგავსოთ სულიერ მზეს, მიწის წიაღიდან უხილავ ნათელს რომ აფრქვევს, ან შევადაროთ თვალით უხილავ მიწისქვეშა წყაროს, რომელიც ყვავილებისა და მცენარეების ფესვებს კვებავს. უფლის კვართი ყოვლადწმინდა ქალწულმა მარიამმა თავისი ხელით მოქსოვა და მაცხოვრის სისხლმა განამეწამულა ჯვარცმის გზაზე: გეთსამანიიდან გოლგოთამდე. ამ სიწმიდის გამო მცხეთას „მეორე იერუსალიმად“ სახელსდებდნენ.



სვეტიცხოვლის ტაძრის ინტერიერში აგებულია სამლოცველო, მსგავსი კუბუკლიისა, იმპერატორმა კონსტანტინემ რომ ააშენა უფლის საფლავზე, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში. იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოტანილმა საუფლო კვართმა სულიერი კავშირით შეაერთა პალესტინა და საქართველო, უფლის აღდგომის ტაძარი და სვეტიცხოველი. საკრალურ სიმბრტყეზე საუფლო კვართი სულიერი ცეცხლის სვეტია, ცამდე აზიდული, უფრო საკვირველი, ვიდრე ის სვეტი, მოსეს და ისრაელს რომ მიუძღოდა აღთქმული მიწისკენ სინას უდაბნოში. ეს არის ადგილი, სადაც ანგელოზები გარდამოდიან მიწაზე, ხოლო ადამიანთა სულები ზეცად მალღებებიან ლოცვაში. სახარებაში წერია, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილი ქალი მიეახლა მაცხოვარს, საიდუმლოდ შეეხო მის კვართს და მყისვე განიკურნა ავადმყოფობისგან (იხ. ლკ. 8. 43-48). საუფლო კვართისგან ახლაც იკურნებიან ისინი, ვინც მას სარწმუნოებითა და კრძალულებით მიეახლება.

მრავალი საუკუნის შემდეგ სულთნის ცოლმა სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის მოტაცება უბრძანა თავის მონებს. მაგრამ ანაზღად მიწიდან ცეცხლი გამოტყვრა – ისევე, როგორც იულიანე განდგომილის დროს (მან, წინააღმდეგ ღვთის ნებისა, სოლომონის ტაძრის აღდგენა გადაწყვიტა). მონები ცეცხლმა დაწვა, სულთნის ცოლი კი, ოდესღაც პავლე მოციქულის მიერ ძლეული მოგვივით, დაბრმავდა.

სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელშიც საუფლო კვართია დამარხული, საქართველოს ეკლესიის გულია, ქვასთან და გრანიტთან შენივთებული. სახელი „სიდონია“ ფინიკიურ ენაზე ნიშნავს „თევზს“. თევზი ქრისტიანის სიმბოლოა, რადგანაც წყალში ნათლისღებით ადამიანი საუკუნო ცხოვრებას დაიმკვიდრებს.

სიდონია საქართველოს პირველი ქრისტიანია. მას ქრისტე არ ენახა, მაგრამ იგი შეიყვარა მთელი გულით, როგორც ერთმა მენელსაცხებლემ დედათაგანმა, და თავის გონებაში შეუდგა ქრისტეს მარიამ მაგდალინელივით. როდესაც მან ქრისტეს სიკვდილით დასჯის ზარდამცემი ამბავი შეიტყო, მისი სიყვარული იქცა ტანჯვად და სალმობად, და მას მყისვე აღმოხდა სული მონადირისგან გულგანგმირული ფურიერემივით. მისი მკერდი საუფლო კვართის წმინდა საყდრად იქცა. ასე ძველ ეკლესიაში დილეგებში ტუსალი ქრისტიანები მოწამეთა მკერდზე აღასრულებდნენ ლიტურგიას. არსებობს გადმოცემა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს სიდონია უფალს მიეგებება თავისი სამარადისო სიყვარულის დამოწმებით – კვართით ხელში.

სვეტიცხოველი მისტიკური ცენტრია, რომელშიც იყრებიან და რომლისგანაც განეფინებიან ნათლის სხივ-რადიუსები, სვეტიცხოველს საქართველოს ყოველ მონასტერთან და ტაძართან რომ აერთებენ. ხოლო სიდონია ტაძრის მეკარეა, რომელიც ღირსეულთათვის განახვამს ტაძრის წმინდა სივრცის, უხილავი სულიერი ნათლით აღსავსე წმიდა წმიდათას კარს. იგი უფლის კვართის მადლს, როგორც უკვდავების წყაროს, ასმევს ყველას, ვინც სარწმუნოებით შედის მცხეთის ტაძარში. მაცხოვრის სისხლით წითლად შეღებილი კვართი საქართველოს ეკლესიის ქვაკუთხედი და მისი ღმრთივბრწყინვალე გვირგვინი.

ხატის „დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა“ კომპოზიციური ცენტრი ცხოველმყოფელი სვეტია, მის ქვეშ კი – სიდონიას საფლავი, ქალწულისა, რომელსაც გულში ჩაუკრავს საუფლო კვართი. ღმრთივალმართული სვეტის გარშემო საქართველოს ეკლესიის წმინდანები დგანან, ლოცვასა და ღვთის განჭვრეტაში ჩაძირულნი. სულიერ აღტყინებაში გო-

ნებაშემოკრებილი წმინდანების სახეებს ცხოველი სვეტიდან და უფლის კვართიდან ამომავალი მკრთალი ნათელი აცისკროვნებს. ისინი ედრებიან სამოთხის ყვავილებს, ანთებულ ჩირაღდნებს, ზეციური იერუსალიმის ძვირფას ქვებს, უფლის კვართიდან მომდინარე სურნელოვანი მრონის ნაჟურს, ღვთისმშობლის ხელით დაწნულ უჭკნობ გვირგვინს, კავკასიონის მთების შროშანებსა და ქართლურ ვარდებს, ზეციდან მიწაზე გადმოსულ ვარსკვლავებს, ქვეყნის ანგელოზებს, ეკლესიის საგანძურში დაუნჯებულ პატიოსან აღმასებსა და ძოწებს. ამ გუნდში არიან: მოწამეები, ღირსნი, აღმსარებელნი, მღვდელმთავრები, დაყუდებულები, მეუდაბნოეები, ქრისტესთვის სალოსები, მესვეტეები და მართალნი – საქართველოს ეკლესიის სიმტკიცე, ზღუდე და დიდება. წმინდანთა დასი საქართველოს ეკლესიას ოქროს სამეფო დიადემათაგან ამკობს.



მეორე საუკუნე საქართველოში ქრისტიანთა დევნით აღინიშნა. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხებში, რომის იმპერიისა და ირანისგან განსხვავებით, დევნულების ცალკეული შემთხვევები აღინიშნა მხოლოდ; და ქრისტიანთა დევნა ამ ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკაში არ შესულა.

საქართველოს ეკლესიის ჩვენთვის ცნობილი პირველი მოწამეები არიან მესუქვეელი თავადები, რომელთაც ასე ეწოდათ მათი სტრატეგის, შემდგომში კი მათი სულიერი მოძღვრის – სუქიოსის სახელის მიხედვით. ჩვიდმეტი თავადი, ტომით ქარ-

თველები, ალბანეთის* მეფის ჯარში მსახურობდნენ და მის კარზე მაღალი თანამდებობა ეკავათ. ისინი კავკასიის მთებში მონინათლნენ თადეოზ მოციქულის მოწაფეების მიერ და ფარულად შეუდგნენ სულიერ მოღვაწეობას; წარჩინებულის სამოსლისა და აბჯარ-საჭურვლის ქვეშ ძაძას ფარავდნენ და ღამ-ღამობით ლოცვაზე იკრიბებოდნენ. თავადები ალბანეთის მეფის ასულთან ერთად ჩავიდნენ სომხეთში, როგორც მისი ამალის წევრები. მაგრამ დედაქალაქის ცხოვრება სატანჯველივით, მონობასავით უმძიმდათ მათ; და სუქიოსმა და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, იოანე ნათლისმცემლისა და ილია წინასწარმეტყველის მაგალითით, მეუდაბნოეთა ღვაწლი ეტვირთათ. მათ ფარულად დატოვეს სასახლე, როგორც ტუსაღებმა – დილეგი, სათავადო შესამოსელი გლახაკის კონკებზე გაცვალეს და ღამით დედაქალაქის კარიბჭიდან გამოვიდნენ, როგორც ლოთი – განწირული ქალაქიდან – უკან არ მიუხედავთ. რატომ თქვეს მათ უარი დიდებასა და სიმდიდრეზე, სამთავრობო პატივზე? დაე, ამაზე სიტყვა აგოს მთის არწივმა, რომელმაც თავი დააღწია მოოქრულ გალიას, თავისი ძლიერი ფრთები გაშალა და ლაჟვარდისფერ ოკეანეში დაცურავს. ქალაქები თავიანთი დიდებული სასახლეებით და მინდვრების მწვანე ჩარჩოებში ჩასმული სოფლები ღრუბლებს ზევითა სივრციდან მას ჭიანჭველების ბუდეებად ეჩვენება. არწივისა და განდევილის სამშობლო ერთია: ზეცა და მთათა ხეობები.


სუქიოსი და მისი სულიერი ძმები პირქუშ კლდოვან მთაზე დასახლდნენ ეფფრატის სათავის მახლობლად. ცხოვრებას დუმილში და მოუკლებელ ლოცვაში ატარებდნენ. უდაბნო იქცა

* ძველი სახელმწიფო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე; ძველ ქართულ ტექსტებში ეწოდება ალვანეთი ან ალვანია.

მათვის ტაძრად; ამ ტაძრის კედლები იყო ცადაზიდული ფრი-
ალო კლდეები, ფეხქვეშ გაწოლილ უფსკრულებს რომ გადმოჰ-
ყურებენ; მისი ანთებული სანთლები იყო მოციმციმე ვარსკვლა-
ვები, ხოლო ბროლის გუმბათი – ცის ლაქვარდი, რომელსაც
ცისკარი და დაისი მეწამულ და ოქროს ფერებად ლეზავდნენ.
განდეგილები ფესვებითა და ბალახებით იკვებებოდნენ მთის
არჩევებით, სასმელად იყენებდნენ წვიმის დროს კლდეების
ნაპრალებში დაგროვილ წყალს და დილდილაობით ქვებზე ნა-
ჟონ ცვარს. ზაფხულის ხვატისა და ზამთრის სუსხისგან მათი
სხეულები განიკაფა, გაშავდა და თმით დაიფარა, მათი კანი გა-
მოშრა და ძვლებს მიეკრო; მაგრამ ცოდვისა და ვნებებისგან
განწმენდილი მათი სულები ნათლის სხივებით კამკამებდნენ.
მათი სულიერი მოღვაწეობა, რისი მოწმეც მხოლოდ მღუშარე
უდაბნო იყო, დასასრულს უახლოვდებოდა. მუშაკობით დამაშ-
ვრალი თავადებისთვის სასყიდლის მიღების დრო დამდგარიყო.

ალბანელმა მთავარმა ბარლაამ და მისმა მეომრებმა თავა-
დები კლდეების ტევრში იპოვეს – იქ, სადაც, გეგონებოდათ,
ფეხი არასოდეს დაედგა ადამიანს – ასე არწივის მართვეებს პო-
ულობენ მონადირეები უფსკრულზე გადმოკიდებულ ბუდეში.
მან თავადებს უბრძანა, ქრისტეს განდგომოდნენ და დედაქა-
ლაქში დაბრუნებულიყვნენ. თავადებმა მიუგეს: „ჩვენ სახელი-
სათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა... ნებსით მკუდარ
ვიქმნენით და ქრისტეს ჩუენისაგან მისთანა უკუდავსა, დაუ-
ბერებელსა, წარუდინებელსა და სამარადისოსა მოველით დი-
დებასა“ (იხ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“; გვ. 627). მხე-
დართმთავარმა თავის მსახურებს უბრძანა, ისინი სარებზე მი-
ებათ, ზედ შუშა დაეყარათ და ცეცხლში დაეწვათ. სიკვდილის
წინ განდეგილები გალობდნენ ფსალმუნს ისრაელის ეგვიპტი-
დან გამოსვლაზე. მოძალადემ იხილა მათი უშიშობა და ცეც-

სლზე დაწვის განაჩენი მახვილით დაჭრით შეცვალა. ჭეშმარი-
ტების მოწამენი უწყალოდ დაჩხეს. მთა, რომელსაც მეუდაბ-
ნოეებმა თავი შეაფარეს, მათი ნაწილების საერთო სამარედ იქ-
ცა.



მეორე და მესამე საუკუნეებში ქრისტიანობა სულ უფრო
ვრცელდებოდა საქართველოში. წმინდა მღვდელმოწამე კლი-
მენტის (რომელიც თავრიზში იყო გადასახლებული) მოწაფე-
ებს შორის იყვნენ კოლხები და ივერიელები. ცნობილია საე-
პისკოპოსო კათედრები პონტოსა და კოლხეთში.

აღმოსავლეთ საქართველოში მძლავრობდა მაზდეანობა —
ზარათუსტრას სწავლება, ჩვეულებრივ, ცეცხლთაყვანისმცემ-
ლობას რომ უწოდებენ. დასავლეთ საქართველოში გავრცელე-
ბული იყო ელინისტური წარმართობა და, განსაკუთრებით, ჰე-
კატეს კულტი — სიკვდილის და მაგიის ქალღმერთისა, რომე-
ლიც მთვარის, ან გველებშემოხვეული ქალის სახით გამოიხა-
ტება. ქრისტიანული საკრებულოები ოაზისები იყო წარმარ-
თობის სულიერ უდაბნოში.



დადგა დრო, როცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ივერ-
თა ქვეყანა თავისი რჩეულის, წმინდა ქალწულ ნინოს მიერ გა-
ნანათლა. მარად ქალწულმა მოციქულის ღვაწლის აღსრულე-

ბაზე ქალწული აკურთხა. პარაკლიტის (სულიწმიდის) სძალმა გამოიჩინა მონაზონი, რომელმაც თავი ღმერთს უძღვნა ბავშვობის წლებიდანვე, და იგი საქართველოს დიდ მოციქულად აქცია.

წმინდა ნინო კაბადუკიელი იყო – შვილი იმ ქვეყნისა, უდიდესი წმინდანები რომ შესძინა მსოფლიოს. არსებობს დამოწმება, რომ ნინო ქალწული წმინდა გიორგის ნათესავი იყო. წმინდა ნინოს მთელი ცხოვრება იყო სულიერი მოღვაწეობა, უსისხლო მოწამეობა და დაუცხრომელი ბრძოლა ჯოჯოხეთის ძალებთან. როგორც წმინდა გიორგიმ განგმირა ღრაკონი და სიკვდილისაგან იხსნა ლიზანის მეფის ასული, ისე წმინდა ნინომ ღვთისმშობლის მიერ ნაბოძები ჯვრით სძლია წარმართობას საქართველოში, დაამხო კერპები და ურჩხულს ხახიდან გამოგლიჯა ქართლი და კახეთი.

არსებობს კავშირი ადამიანსა და მის სახელს შორის. ერთნი მიიჩნევენ, რომ სახელი ნინო წარმოდგება „ნინ“ (ასირ.) ძირისგან, რაც „ნაყოფიერს“ ნიშნავს; მეორენი კი მიიჩნევენ, რომ იგი წარმოდგება „ნონა“-სგან (ბერძ., კოპტ.), რაც ნიშნავს „მონაზონს, მეუდაბნოეს“. ეს მნიშვნელობები ერთიმეორეს ავსებენ და ნინოს სახელს ახალ აზრს ანიჭებენ. ქალწული გახდა ქრისტეს სძალი და მთელი ქვეყნის სულიერი დედა. კაბადუკია განთქმული იყო მონაზვნებისა და ანაქორეტების (განდეგილების) ღვაწლმოსილი ცხოვრებით; უდაბნოებით, რომლებსაც ქრისტიანები თავს აფარებდნენ დევნულების დროს, და მღვიმე-მონასტრებით. ნინოს სული, როგორც ლამპარი, ბავშვობიდანვე ანთებული იყო ღვთისადმი ანგელოზისებრი სიყვარულით. სიყრმის წლები მან წმინდა ქალაქ იერუსალიმში გაატარა. იერუსალიმის სიწმინდეების მახლობლად გაზრდილი ნინო წყლის სათავეში აღმოცენებულ საკვირველ პალმას ჰგავ-

და. ისევე, როგორც ოდესღაც ქალწული მარიამი, წმინდა ნინოც ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა, და აღმოსავლეთის ხალხმრავალ ქალაქში ისევე ეულად გრძნობდა თავს, როგორც უდაბნოში. ხალხის ზრიალი, ცხვრების ბლავილი, ქუჩის მოვაჭრეებისა და აქლემების გამრეკების შეძახილი, საქორწილო სიმღერები და სამგლოვიარო მოთქმა, ლეგიონერების იარაღის ჟღარუნი – ქალაქის ხმაური – ტაძრის კედლებთან ყუჩდებოდა და წყდებოდა. ტაძრის უხილავ ნათელში და საიდუმლო მღუმარებაში წმინდა ნინოს მარადისობის ხმა ესმოდა. მისმა აღმზრდელმა ნიაფორამ მას უამბო, როგორ წაიღეს საუფლო კვართი იერუსალიმიდან მცხეთაში. წმინდა ნინომ მოისურვა, წასულიყო იმ ქვეყანაში, რომელმაც საუფლო კვართი იუნჯა, ეპოვა სიდონიას საფლავი, თაყვანი ეცა ქრისტეს კვართისთვის და შემდეგ საქართველოს მცხოვრებთათვის სახარება ექადაგა. წმინდა ნინოს უფალი ეცხადებოდა ჩვენებებში და მან იგი სამოციქულო ღვაწლის აღსრულებაზე აკურთხა. ქალწულმა მარიამმა კი ნინოს სასწაულებრივად გადასცა ჯვარი ვაზისა.

ვაზი საქართველოს ეკლესიის სიმბოლოა. საკვირველი ვაზი – საქართველოს ეკლესია – სწრაფად გაიზარდა, გამრავლდა, გამოიღო მრავალი ნაყოფი, კავკასიის მწვერვალებამდე განიროთხა ტოტები და საქართველოს ველები თავისი ფოთლების ჩრდილით დაფარა.

წმინდა ეზრა წინასწარმეტყველი გვამცნობს: მცენარეებს შორის უფალმა ვაზი გამოირჩია. ვაზი სახეა სახარების სწავლებისა. მისტიკოსების ნაწარმოებებში ის არის სახე ღვთისადმი სიყვარულისა, რომელიც სულიერი სიხარულით ავსებს ადამიანის გულს. ვაზი არის სიმბოლო ქრისტეს სისხლით სავსე ევქარისტული ბარძიმისა და სიმბოლო მოწამეობის ბარძიმისა, რომელიც პირთამდე სავსეა წმინდანების სისხლით.

თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, ინახება ჯვარი ვაზისა; მას წმინდა ნინოს თმა აქვს შემოხვეული. დროთა მდინარებისაგან ვაზის ტოტები ფრინველის ფრთებივით დაიდრიკა თითქოს იმ სიმძიმის ქვეშ, საქართველოს ეკლესიას რომ ეტვირთა წარმართობასთან და ისლამთან, ჯვრის ხილულ და უხილავ მტრებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში. ქალწული ნინო სიკვდილს პირისპირ უმზერდა სომხეთში; თრდატ მეფის მსახურებმა მახვილებით აკუწეს მისი სულიერი დები – რიფსიმე, გაიანე და სხვა ქალწულები, რომლებმაც თავი ღმერთს შესწირეს. მაგრამ უფალმა მოწამის გვირგვინის ნაცვლად მას სხვა – მოციქულის უმეტესად ბრწყინვალე გვირგვინი განუმზადა. ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი ყრმა იესო ქრისტესთან ერთად ეგვიპტეში რომ ჩავიდა (ისინი ჰეროდეს ემალებოდნენ), მემფისის ტაძარში კერპები დაემხო, გეგონებოდათ, მათ ქვეშ მიწა იძრაო. აწ კი ივერიის დედაქალაქ მცხეთაში წმინდა ნინოს ლოცვით შეიმუსრა კერპები და გაცამტვერდა, რაც წარმართობის დაქცევას მოასწავებდა.

წმინდა ნინო სამეფო ბაღში დასახლდა, მაყვლოვანში, ხის ტოტებისგან დაწნულ ქოხში დაიდო ბინა. წმინდანს არაფერი ებადა, გარდა საგებისა, რომელზეც იგი ლოცულობდა და ცოტა ხანს მიიძინებდა ხოლმე. მასთან მოდიოდნენ მცხეთისა და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებნი, რათა ესმინათ მისი ქადაგება, ეთხოვათ მისთვის ლოცვა და სულიერი შემწეობა. მასთან ავადმყოფები მიჰყავდათ; ნინო კურნავდა მათ ლოცვითა და იმ ჯვრის შეხებით, რომლითაც იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა აკურთხა. იგი ჯვარს არ იშორებდა ისევე, როგორც მეომარი – მახვილს ბრძოლის დროს. მძიმე სნეულები, დემონებისგან შეპყრობილნი, მომაკვდავები იკურნებოდნენ ნი-

ნოს ფაცხასთან, როგორც იერუსალიმში – კრავთა საბანელში უფლის ანგელოზის გარდამოსვლისას.

გავიდა საუკუნეები. მცხეთაში მეფეთა სასახლეების კვალიც აღარ დარჩა. ყოველივე წალეკა დროის მდინარემ, წმინდა ნინოს ღარიბული საცხოვრებელი კი მოსალოც ადგილად იქცა ნინოს სიცოცხლეშიც და წმინდა ადგილად დარჩა მისი სიკვდილის შემდეგაც. ბერძნულ ქრონიკებში წმინდა ნინოს ტყვე ეწოდება. დიახ, იგი ტყვე იყო, ოღონდ არა ადამიანების, არამედ ქრისტეს სიყვარულის ტყვე. ძველ მსოფლიოში არსებობდა კანონი: როდესაც ბატონი მონას ყიდულობდა, მას თმებს მოჰკვეცდა და ინახავდა დამოწმებად იმისა, რომ თმამოკვეცილი ადამიანი მას ეკუთვნოდა. ეს ჩვეულება სიმბოლურად ასახულია ნათლისღების საიდუმლოში და მონაზვნად აღკვეცის წესში. წმინდა ნინომ ჯვარი მიიღო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან და იგი თავისი თმით შეწმასნა ნიშნად იმისა, რომ იგი უარყოფდა თავის თავს და მთელ თავის სიცოცხლეს ღვთის მსახურებას უძღვნოდა. ქრისტეს სიყვარულის ტყვემ საქართველოს ხალხებს სულიერი მონობისგან გათავისუფლებინა და სამარადისო სიკვდილისაგან გამოსხნის უწყება მოუტანა. როგორც ჯვაროსნები მიდიოდნენ აღმოსავლეთში უფლის საფლავის გასათავისუფლებლად (მკერდზე და ფარებზე მათ ჯვრის ნიშანი ჰქონდათ გამოსახული), ისე წმინდა ნინო – ივერიელი ჯვაროსანი – მიდიოდა ღვთისმშობლის ჯვრით შეჭურვილი, რათა ჯოჯოხეთის ძალებთან ბრძოლაში არმაზისგან და ზადენისგან, წარმართული სამლოცველოებისაგან და ბაგინებისგან გაეთავისუფლებინა საქრისტიანოს უდიდესი სიწმიდის, საუფლო კვართის საკრძალი მიწა, სულიერი თავისუფლება მიენიჭებინა და ქრისტიანობის ნათელი მოეფინა ივერიის ხალხებისათვის.



დრო გადიოდა. ქართლის ყოველი კუთხიდან ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ხალხი იკრიბებოდა ჯვრის ბაი-რალის ქვეშ. მეფე მირიანის წინაშე იდგა მტანჯველი საკითხი: როგორ მოქცეულიყო შემდგომში საქართველოს გამგებელი? საქართველო წარმართულ ქვეყნად, ირანის მოკავშირედ დარჩებოდა, თუ ქრისტიანობას მიიღებდა, ბიზანტიის მაგალითით? მეფე ჰგავდა მხედარს, რომელიც გზების გასაყარზე შეჩერებულიყო, და ფიქრობდა, საით მიემართა თავისი ტაიჭი. მეფემ იცოდა, რომ წმინდა ნინოს საღმრთო ძალა და სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული; თავის გულში მირიანი ქრისტიანობისკენ ისწრაფვოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იმყოფებოდა წარმართული სამყაროს ხორციელი ვნებების, ჩვეული რელიგიური წარმოდგენებისა და მაგიური რიტუალების ტყვეობაში.

სპარსეთის მეფემ თავისი ძე, მირიანი, მოზიდანებისა და პოეტების წრეში აღზარდა; ისინი აქებდნენ ირანის გარდასულ დიდებას და მისი გმირების ღვაწლს. ახლა კი საქართველოს მეფეს – მირიანს თავისი ახალი სამშობლოს ხვედრი უნდა გადაეწყვიტა. წარსულში მან იგი არაერთხელ დაიცვა მახვილით, მაგრამ მაშინ მას სპარსეთის შაჰი ეხმარებოდა. მირიანის ირგვლივ შემოკრებილი ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები ორმუხდისა და მითრას რისხვას წინასწარმეტყველებდნენ. მათი მუქარა ყვაევის ყრანტალსა და სვაევის ჩხავილს ჰგავდა გვამებით სავსე ბრძოლის ველზე.

ქრისტიანობის მიღების შემთხვევაში ირანი შურისძიებას უქადდა საქართველოს. მეფემ გადაწყვიტა, სიკვდილით დაესაჯა წმინდა ნინო და საქართველოში ყველა ქრისტიანი გაეუფლიტა. მაგრამ სინდისის ხმა არ ასვენებდა მას. ღრმა ფიქრებში ჩაფლული მირიანი სანადიროდ წავიდა მთებში, რათა თავის თავთან მარტო დარჩენილიყო. წარმართული სამყარო უკვე აგონიაში იყო. მაგრამ როგორც ველური მხეცი განსაკუთრებით ულმობელი და სასტიკი ხდება სიკვდილის წინ, ისე ეს სამყაროც შეიძლება გადაუდულიყო თავის მსხვერპლთა სისხლის სმით. მაგრამ საღმრთო განგებამ არ დაუშვა, რომ მირიანი დიოკლეტიანედ ქცეულიყო საქართველოსათვის. ზეციური სასწაულით მეფემ ქრისტე ირწმუნა.

თავისი შემდგომი ცხოვრება მირიან მეფემ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და ტაძრების მშენებლობას მიუძღვნა. არსებობს გადმოცემა, რომ მირიანი წმინდა ადგილების მოსალოცად პალესტინაში გაემგზავრა. ამ მოგზაურობის დროს იგი შეხვდა იმპერატორ კონსტანტინეს. იმპერატორმა მირიანს აჩუქა მიწის ნაკვეთი იერუსალიმში, სადაც ძველ დროს ჯვრის ძელი იზრდებოდა (ხე, რომლის ღეროსგანაც გამოთაღეს მაცხოვრის ჯვარი). ამ ადგილზე აშენდა სახელგანთქმული ივერიის ჯვრის მონასტერი, რომლის კედლებშიც მონაზვნებმა პირველად გადმოიღეს ქართულ ენაზე ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. ამ მოვლენას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიისათვის.

ბიბლია ქართულ ენაზე ითარგმნა იქ, სადაც წინასწარმეტყველები ხალხს ღვთის ნებას აუწყებდნენ, სადაც მსოფლიოს სულიერი ისტორიის უმთავრესი მოვლენები ხდებოდა, სადაც ქრისტემ ევქარისტია დააწესა, ჯვარს ეცვა და აღდგა; ბიბლია ქართულად ითარგმნა იქ, სადაც სულიწმიდა მოეფინათ მოცი-

ქულებს, სადაც თითქოს თვით ჰაერი ინახავდა ქრისტეს ხმას, მოწაფეებს რომ ესაუბრებოდა და ზეციერ მამას ევედრებოდა, მიწა კი მის ფეხთა ნაკვალევს იმარხავდა. ჯვრის მონასტერში შესრულებული ბიბლიის ქართული თარგმანი უფლის საფლავზე ზეგარდმოსული მადლმოსილი ცეცხლისგან დანთებული უქრობი ალია, სიონის ბაზილიკის გამონაშუქია – პირველი ქრისტიანული ეკლესიისა, რომელშიც მოციქულებზე გარდამოვიდა ნუგეშინისმცემელი სული. მონასტრის კედლები, ისევე, როგორც ტაძრის კანკელი, კი არ ფარავენ, არამედ ადამიანის წინაშე განაცხადებენ დიდებული სამყაროს, ოღონდ სხვა – საუკუნო არსთა და საუკუნო ნათლის ემანაციების სამყაროს სივრცესა და სიღრმეს.

მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი წერდა, რომ ანტონი დიდი მოციქულთა სიმაღლეზე დგას. მართლმადიდებლური სამონაზვნო ასკეზის ღვაწლით შემოსილ ადამიანს შეეძინება მოციქულებთან მისტიკურ ურთიერთობაში შესვლის ნიჭი, სახარების მათი თვალებით წაკითხვის, წმინდა წერილის საიდუმლო სიღრმის ჭვრეტის, სიტყვის იმ ფერადოვნების, ელფერის, ჟღერადობისა და ვიბრაციის, იმ ნათლის სიმფონიის აღქმის ნიჭი, რომლის მიმართაც ბრმა და ყრუ არის წუთისოფლის ამაოებაში ჩაფლული ადამიანი. როგორც მთის წვერზე ასულ მოგზაურს განსაკუთრებით კამკამად და თითქოს ცოცხლებად ეჩვენება ვარსკვლავები, ისე დუმილისა და ლოცვის ალში განწმენდილი სული ცოცხლად შეიგრძნობს ბიბლიის ყოველ სიტყვას მისი მისტიკური სიღრმით, სიძლიერით და წარუვალ სიმშვენიერით. ამიტომ ბიბლიის ძველი თარგმანები ქართულ ენაზე მუდამ დარჩებიან უბადლო, სწორუპოვარ თარგმანებად, მუდამ დარჩებიან საქართველოს ეკლესიის ფასდაუდებელ საუნჯედ და საკრალურ ენად.

326 წელს მოციქულთასწორმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა საქართველოს ეკლესიას უძღვნა ცხოველყოფელი ჯვრის ნაწილი, ერთი სამსჭვალის, რომლითაც მაცხოვრის სხეული ჯვარს შეამსჭვალეს, წმინდანთა ნაწილები, საღვთისმსახურო ჭურჭელი, წიგნები და სამღვდლო შესამოსელი. იმპერატორის დესპანებთან ერთად, რომლებმაც მირიან მეფეს წერილი ჩამოუტანეს, საქართველოში ჩამოვიდნენ სასულიერო პირები ეპისკოპოს იოანეს თაოსნობით, და ხუროთმოძღვრები.

მტკვრისა და არაგვის გამჭვირვალე წყალში, როგორც ვერცხლის ემბაზში, ნათელ-ილო საქართველომ. ჯერ მოინათლნენ მეფე და დიდებულები, შემდეგ – დანარჩენი ხალხი. წყლის სწრაფმა ნაკადებმა ივერიის პირი კერპთა საზოროველების სისხლისგან განბანეს. საქართველო სპეტაკი სამოსლით მოსილ, მშვენიერებით გაბრწყინებულ, გვირგვინით შემკულ სძალს მიემსგავსა. მეფე მირიანი და წმინდა ნინო კი ბერძენი ხუროთმოძღვრების დახმარებით შეუდგნენ ტაძრის მშენებლობას იმ ადგილზე, სადაც სიდონიას მკერდზე საუფლო კვართია დასვენებული.

ხატის შუა ნაწილში გამოსახულია მირონმდინარი კედარისგან გამოთლილი სვეტი, რომელიც ანგელოზმა მალლა აწია, ჯვართამაღლების მსგავსად. იგი მშენებარე ტაძრის გუმბათის მთავარი ბურჯი უნდა ყოფილიყო. ამ გამოსახულებას, პირდაპირის გარდა, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს:

1. იგი მიგვითითებს მართლმადიდებლური ტაძრის მეტაფიზიკურ ასპექტზე. ტაძარი წმინდა ადგილია, მასში კონცენტრირებულია სულიერი ნათელი, მასში რეალურად მყოფობს ზესთა სოფელი. ტაძარი არის მარადისობის გამოვლინება დროში და უსასრულობისა – სივრცეში.

2. ტაძრის მისტიკური მშენებლობა ქრისტიანობის გავრცელებაა დედამიწაზე; იგი ქრისტეს მეორედ მოსვლამდე იქადაგება და გავრცელდება.

3. ზეციერი ეკლესია უხილავად, მაგრამ მუდამ მონაწილეობს მიწიერი ეკლესიის ცხოვრებაში. ორივე ეკლესია ერთიან მისტიკურ ორგანიზმს შეადგენს.

4. მფარველი ანგელოზი შეგვეწევა ჩვენი გულის ტაძრის შენებაში. ამ სულიერი ტაძრის მთავარი სვეტი მართლმადიდებელი სარწმუნოებაა, კედლები – სასოება, ხოლო გუმბათი – სიყვარული.

წმინდა ნინომ თავისი ცხოვრების გზა კახეთში დაასრულა. სიკვდილის წინ მან მეფეს თავისი უკანასკნელი ნების შესრულება სთხოვა – მისი ნეშტი არ გადაესვენებინათ მცხეთაში, არამედ ადგილზე დაეტოვებინათ კახეთის კურთხევად და საფარველად.

ქალწულ ნინოსთან გამოთხოვების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია მირიანს. სიკვდილის წინ მან თავის ძეს, ბაქარს, ანდერძად დაუტოვა, ქრისტეს სარწმუნოებაზე მოექცია კავკასიელი ტომები. მეფე მირიანი და მისი მეუღლე – ნანა დედოფალი – სამთავროს ტაძრის თაღებქვეშ არიან დაკრძალულნი.

სახარების ქადაგებაში წმინდა ნინოს გულმოდგინედ შეეწეოდა იუდეველი რაბინი აბიათარი, ელიოზის შთამომავალი. მან მიიღო ქრისტიანობა და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პავლე მოციქულივით ითმენდა ჭირს, განსაცდელს, და ქრისტეს ეკლიანი გზით მიჰყვებოდა. მისი სიკვდილი და საფლავი უცნობი დარჩა ამა სოფლისათვის.



სპარსეთმა სწრაფად და სასტიკად იძია შური. სპარსეთის ჯარი ჯერ კიდევ მირიანის სიცოცხლეში შემოიჭრა ქართლში, მაგრამ ქართველებმა მოიგერიეს მათი შემოტევა. განსაკუთრებით ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი იყო ირან-საქართველოს ომები ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს. ბიზანტიის არწივი საქართველოდან შორს დანავარდობდა და თავის გარეშემოუწერელ სამფლობელოს ათვალიერებდა; ხოლო ირანის ლომი საქართველოს საზღვართან იწვა და მუდამ მზად იყო შემმუსვრელი ნახტომისათვის. ამიტომ ქართლს ხშირად ერთი-ერთზე უხდებოდა შეჭიდება თავის ძლიერ მტერთან. ვახტანგ გორგასალი უბრალო მეომარივით იბრძოდა ომში. მის მამაცობას სიმღერებს უძღვნიდნენ, მისი სახელი შიშის ზარს სცემდა მტერს. მაგრამ ომში სიმამაცეზე მეტად მან ქალაქებისა და ტაძრების, მონასტრებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობით გაითქვა სახელი. მისი მეფობის დროს დაფუძნდა თბილისი, სიდონიას საფლავზე კი ხის ეკლესიის ნაცვლად ქვის ტაძარი აღიმართა. ვახტანგი საქართველოს დიდი ხუროთმოძღვარი იყო, ისევე, როგორც იუსტინიანე — ბიზანტიისა. მის პიროვნებაში სიმამაცე სიმშვიდეს მოეზავებოდა, სიბრძნე — მოთმინებას. როდესაც არქიეპისკოპოსმა მიქაელმა მას ჯარისა და ხალხის წინაშე სახეში გაარტყა, მეფემ შეურაცხყოფისათვის სამაგიერო არ გადაუხადა, რითაც ქვეშევრდომებს მისცა მაგალითი — მეფეზე უმეტესი პატივი მიეგოთ სულიერი მოძღვრისთვის.

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ბევრ მონასტერსა და ტაძარში გაიხსნა სასწავლებლები, რომლებშიც მღვდლები ასწავლიდნენ; დაარსდა კრიპტორიუმები; მათ კედლებში კალიგრაფები — დიდწილად მონაზვნები — ბიბლიას და საღვთისმსახურო წიგნებს გადაწერდნენ. პალესტინაში, კაპპათას მო-

ნასტერში, ცხოვრობდნენ ქალწულები – ქართველი არისტოკრატები. მათი მთავარი მორჩილება იყო გადაწერა წიგნებისა, რომლებიც საქართველოში იგზავნებოდა. ვახტანგ მეფის დროს ხელახლა აშენდა ჯვრის მონასტერი; ბევრი ქართველი ახალგაზრდა განათლებას იღებდა ანტიოქიაში, ედესაში, ნიზიბიასა და მცირე აზიის სხვა ქალაქებში.

საქართველოს განათლების საქმეში და ეკლესიის ახლებურ ორგანიზაციაში ვახტანგს ერთგულად ეხმარებოდა კათოლიკოსი პეტრე.

თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი მეფე-მეომარმა გაატარა არა სასახლეში, ტახტზე დაბრძანებულმა, არამედ საბრძოლო უნაგირზე მჯდომმა – მახვილით, და არა სკიპტრით ხელში. სპარსელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში იგი სასიკვდილოდ განგმირა თავისმა მონამ, როგორც ჩვენი უფალი იესო ქრისტე გაწირა სასიკვდილოდ თავისმა მოწაფემ.



გორგასლის მეფობის დროს მოწამეობის ბარძიმი ბოლომდე შესვა წმინდა შუშანიკმა – რანის დედოფალმა, სახელგანთქმული სომეხი მხედართმთავრის, ვარდანის ასულმა. ამიერკავკასიაში ქრისტიანობის დამცველი ვარდანი გმირისა და ვნებების დამთმენლის სიკვდილით დაეცა სპარსელებთან ბრძოლაში. მისი ცხოვრება და იუდა მაკაბელის საქმეებს შემსგავსებელი მისი ღვაწლი იმდროინდელი მოვლენების თვითმხილველმა და მონაწილემ – ეგიშემ აღწერა.

სახელი „შუშანიკი“ (სოსანა) ნიშნავს „შრომანს“. წმინდა შუშანიკი ემსგავსა თოვლისფერ შრომანს, რომელმაც თავისი


ფურცლები ტანჯვა-წამების სისხლით განამეწამულა. შუშანიკის ქმარი, ვარსქენ პიტიახში, ეახლა სპარსეთის შაჰს, მის სამებლად მიიღო მაზდეანობა და აღუთქვა მას, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობას მიაღებინებდა თავის ოჯახსაც და ხალხსაც. ქმრის მუხანათობისა და ლალატის ამბავმა თავზარი დასცა შუშანიკს და საშინლად დაამწუხრა. მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც თხოვნამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა და ვერ შეარყია მისი სიყვარული ქრისტესადმი. როგორც ვარსქენი განუდგა ქრისტეს, ისე შუშანიკი განუდგა თავის ქმარს, რომელიც მას მტანჯველად და ჯალათად მოეგლინა. ვარსქენმა თავისი ცოლი ციხეში გამოკეტა, სადაც მან შეიდი წელი დაყო დატუსაღებულმა, როგორც ქვის აკლდამაში ამოქოლილმა. პიტიახშს ცოლი მხოლოდ იმისთვის ახსენდებოდა, რომ ხელახლა ეგვემა და ეტანჯა. წმინდა შუშანიკი სქემოსანივით ცხოვრობდა თავის დილეგში, ლოცვასა და ფსალმუნთგალობაში ატარებდა დროს. ჯაჭვი, რომელიც მას დაადეს ქმრის ბრძანებით, მოღვაწის ჯაჭვის პერანგით ემოსა. იგი ურიცხვ მეტანიასა და მუხლდრეკას ასრულებდა, რისგანაც ჯაჭვი ძვლამდე შეესო სხეულში. ანტიოქიური მანტიის ქვეშ მოწამე ძაძას მალავდა, რომელიც გაუხბდელად ემოსა დაწყლულ-დაჩირქებულ სხეულზე. შუშანიკმა სიცოცხლეშივე შეიძინა კურნების ნიჭი. მის დილეგთან, როგორც საწმინდრის კედლებთან, უამრავი ხალხი მოდიოდა და მისგან ლოცვას ითხოვდა... როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალი ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნდა და შუშანიკის მოწამეობისა და სიკვდილის შესახებ შეიტყო, ვარსქენი სიკვდილით დასაჯა. შუშანიკის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

შუშანიკის საფლავი მეტეხის კლდის ქვის სასანთლეზე ან-
თებული ბღღვრიალა კერეონია; სულიერი ცისკარია, ამობ-
რწყინებული თბილისის აკვნის – ისნის თავზე. ორი ციხესი-
მაგრე – ისანი და ნარიყალა თხუთმეტი საუკუნის მანძილზე
მოწამეთა სისხლისა და ძვლების კიდობნებად იქცა. შემდგომ-
ში, უკვე ჩვენს დროში, სიწმინდისადმი სატანური სიძულვი-
ლის გამო მეტეხი – თბილისში აშენებული პირველი ტაძარი
– ხან დენტის საწყობად იყო ქცეული, ხან ციხედ, ხან თეატრ-
რად, გეგონება ქალაქის ისტორია ციხიდან ან თეატრიდან იწ-
ყებოდა. მაგრამ შეგინებულ და შებილწულ სიწმინდესთან იმ
დროსაც ცხადად და მალულად მოდიოდნენ მორწმუნეები და
მეტეხის კედლებთან კურნებას, ცოდვების შენდობას და ზეცი-
ურ შემწეობას იღებდნენ. ახლა უკვე დასრულდა წმინდა შუ-
შანიკის მეორე ტუსალობის დრო: ტაძარი ღიაა, მის საკურ-
თხველში კანდლები ანთია, წმინდა შუშანიკის საფლავი ტყვე-
ობისგან გათავისუფლებულია. მოწამე ყურად იღებს ჩვენს
ლოცვას, როგორც დედა ისმენს თავისი შვილების სატკივარს.

მეტეხი თბილისის წმინდა ადგილია. როგორც მდინარე აღ-
მოცენდება წყაროსგან, ისე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის
ტაძრიდან იწყება ქალაქი და მისი მრავალსაუკუნოვანი მათი-
ანე. მოწამეთა რიგებმა ჩაიარა შუშანიკის საფლავთან; ვახტანგ
გორგასალი აქ ფიქრობდა საქართველოს მომავალ დედაქალაქ-
ზე, როგორც იმპერატორი კონსტანტინე დიდი დასცქეროდა
კონსტანტინეპოლის რუკას და თავის ქალაქზე ფიქრობდა; აქ
ომებისა და დევნულებების ბრძედში იწვოდნენ უდანაშაულო
მსხვერპლნი და საკვირველ ზეციურ ყვავილებად იფურჩქნე-
ბოდნენ.



მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ირანმა თურანელ მომ-
თაბარეთა შემოსევა მოიგერია და მთელ თავის ძალებს კავკა-
სიაში ქრისტიანობასთან საბრძოლველად მოუყარა თავი. სა-
ქართველო ბრძოლის ასპარეზად იქცა, მსგავსად რომის კოლი-
ზეუმის არენისა, რომელზეც სამი საუკუნის განმავლობაში იღ-
ვრებოდა მოწამეთა სისხლი. ომის ცეცხლმა მთელი ქვეყანა მო-
იცვა. დღისით მზე არ ჩანდა გადამწვარი ქალაქებისა და სოფ-
ლების კვამლისგან, საავდრო ღრუბელივით რომ ჩამოწოლი-
ლიყო მიწაზე და შავი ნისლივით ეფინებოდა ველებს. ღამლა-
მობით დიდი ხანძრების მეწამული ანაშუქი ანათებდა ცის
თაღს. ირანი მხოლოდ ცოცხლებს კი არ ეომებოდა, არამედ
მკვდრებსაც. სპარსელები ბილწავდნენ საფლავებს, ქრისტიან-
თა გვამებს ქოფაკებისა და სვავეების საჯიჯგნად ყრიდნენ.



ვახტანგ გორგასლის უახლოესი თანამებრძოლი იყო რაჟ-
დენი – სპარსი სასანიდების მოდგმიდან, რომელმაც საქართვე-
ლოში ქრისტიანობა მიიღო და ქრისტესა და თავისი ახალი
სამშობლოს ერთგული დარჩა სიკვდილამდე. მეფემ მას მცხე-
თის მისადგომების დაცვა დაავალა. რაჟდენმა რამდენჯერმე გა-
იმარჯვა, მაგრამ არმაზის ციხესთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩა-
ვარდა. სპარსეთის შაჰი თავის ტყვეს არწმუნებდა – განდგო-
მოდა ქრისტეს და მაზდეანობას დაბრუნებოდა. მეფე მთელ თა-
ვის მჭევრმეტყველებას იყენებდა მის მოსანადირებლად, მაგ-
რამ რაჟდენმა მას მტკიცედ მიუგო: „ნიჭნი და პატივნი შენნი,
მეფეო, ვითარცა კუამლი განქარდის და ვითარცა მტუერი გა-

ნიბნევის... ხოლო უკეთუ მოგკუდე ქრისტესთვის, უკუდავ ვიქმნე საუკუნოდ“ (იხ. „საქართველოს სამოთხე“; გვ. 174).

შაჰმა მისი წამება ბრძანა. რაჟდენს სახეში ურტყეს, თმები აგლიჯეს, კბილები უმტვრიეს ჩაქუჩით, მიწაზე ათრიეს ისე, რომ სხეული სულმთლად დაესერა და დაუსისხლიანდა. მაგრამ ვერავითარმა წამებამ ვერ დააცდენინა მოწამეს კვნესა ან შეწყალების ვედრება. იგი ემსგავსა კლდეს ქარიშხლის დროს, რომელსაც აზვირთებული ტალღები ეკვეთებიან, მაგრამ სალქვას ენარცხებიან, შხეფებად და ქაფად იქცევიან და კვლავ ზღვის სივრცეს უბრუნდებიან. მეფეს ესმოდა, რომ უიარალო, სისხლისგან დაცლილ ტყვესთან აგებდა ბრძოლას. დიდებულებმა მას ურჩიეს, რაჟდენი მცხეთაში გაეშვა ოჯახის წევრებთან გამოსათხოვრად, ოღონდ ფიციტ პირობა ჩამოერთმია, რომ სიკვდილით დასჯისთვის დანიშნულ დღეს უკან დაბრუნდებოდა. მეფეს რჩევა მოეწონა – იგი იმედოვნებდა, რომ ტყვე სიტყვას გადაცდებოდა, მცხეთაში დარჩებოდა და ამგვარად ქართველებისა და სპარსელების თვალში ლაჩრად და ცრუდ გამოჩნდებოდა. ამიტომ რაჟდენი მცხეთაში გაუშვა.

მაგრამ მოწამემ მკვდარი ლომის ხვედრი ამჯობინა ცოცხალი ქოფაკის ყოფას. რაჟდენი მცხეთაში ჩავიდა, დალოცა თავისი შვილები, გამოეთხოვა მეგობრებსა და ნათესავებს, წყალობა უყო გლახაკებს და სასწრაფოდ დაბრუნდა სპარსელთა ბანაკში. სპარსელები გაოცდნენ რაჟდენის დანახვისას, რომელსაც თავისი თავი თვითონვე მიეყვანა სამსხვერპლოსთან დასაკლავად საღმრთო კრავივით. მეფემ გადაწყვიტა, რაჟდენი წრომის გამგებლისთვის გადაეცა საწამებლად და მოსაკლავად. მოწამე გაშოლტეს, მას ჯაჭვი დაადეს და დილეგში ჩაამწყვდიეს. რაჟდენს საკვირველი ნათლით მოსილი ქრისტე გამოეცხადა და უკანასკნელ ღვაწლზე აკურთხა. ჯალათები თვითონვე დაი-

ღალნენ ტუსაღის წამებით. დადგა მისი აღსასრულის დღეც. მეომრებმა რაჟდენი ჯვარზე მიაბეს და ისრების სროლა დაუწყეს სამიზნესავით – ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისრის ტყორცნაში. რაჟდენის მთელი სხეული დაიწერტა მოწამლული ისრებისგან, თითქოს გველის ნაკბენებისგან დაიგესლა. ბოლოს მოწამემ სული ღმერთს შეავედრა და განუტევა... ვახტანგ გორგასალმა ეპისკოპოსები გაგზავნა მისი ნეშტის გადმოსასვენებლად.

ორჯერ გამოიტირეს რაჟდენი ნათესავ-მეგობრებმა: პირველად – როცა მცხეთიდან სპარსელთა ბანაკში ბრუნდებოდა, და მეორედ – როცა მისი წმინდა ნაწილები წრომიდან აღმოიყვანეს და ნიქოზის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. რაჟდენს თავდაპირველადვე მიაგეს წმინდანის პატივი; ამიტომაც უწოდა ეკლესიამ მას პირველმოწამე.



ეკლესია აღიდებს კოლაელ ყრმა მარტვილებს, რომლებიც სოფელ კოლაში ცხოვრობდნენ, მტკვრის სათავეში. მათ ქრისტიანობა მიიღეს და ფარულად მონინათლნენ. სწორედ ამისთვის მოაკვდინეს ისინი მათმა მშობლებმა და ნათესავებმა – წარმართებმა. კოლაელ ყრმებზე აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები: „ნუ აყენებთ მაგათ მოსლვად ჩემდა, რამეთუ ეგვეითართა არს სასუფეველი ცათა“. (მკ. 10, 14). ყრმა მოწამეები ემსგავსნენ ჭინჭრებში და ნარ-ეკალში ამოსულ შრომანებს, უფურჩქნელ ყვავილებს, მინდორში ცელმა რომ მოკვეთა; ან – ჯერ დაუფრთიანებელ ბარტყებს, რომლებიც ბუდეში შესანსლა მტაცებელმა ფრინველმა. სულიწმიდამ განანათლა ბავშვების

სუფთა გულები და ისინი მოხუცებულ კერპთაყვანისმცემლებზე ბრძენებად აქცია, რადგან ყველაზე დიდი სიბრძნე ქრისტესთვის ცხოვრება და ქრისტესთვის სიკვდილია.



ხატზე გამოსახულია დიდმოწამე ევსტათი მცხეთელი, რომელიც წარმოშობით ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვების უმაღლეს წოდებას განეკუთვნებოდა; მათ მაგებსა და მობიდანებს უწოდებდნენ. ევსტათი ორმუზდის საკერპოს კვარცხლბეკთან იზრდებოდა, უმზერდა უქრობ ცეცხლს, რომელსაც თავყანს სცემდნენ, როგორც ღვთაებას; იგი სწავლობდა ქურუმთა სასწავლებელში და თავისი მშობლებისა და წინაპრების მაგალითით, მოგვობისათვის ემზადებოდა. ირანი მარტო ბრძოლის ველზე როდი უწევდა მეტოქეობას ბიზანტიას – იგი მფარველობდა მეცნიერებას, ხელოვნებასა და ფილოსოფიას. ბევრი ელინისტი ფილოსოფოსი და პოეტი, ვინც ფარულ ან განცხადებულ წარმართად დარჩა, ირანში ჩადიოდა, სადაც თავშესაფარსა და მყუდროებას პოულობდა. ცეცხლთაყვანისმცემელი მაგები ელინისტური და ინდური ფილოსოფიის უზარმაზარ არსენალს ფლობდნენ.

ძველი აღთქმის დროინდელი პლატონისტი ფილონი სპარსეთის მაგებს, ბრაჰმანებთან ერთად, ძველი მსოფლიოს ბრძენთა შორის იხსენებს. მაგრამ არც ბერძნულ და ინდურ გაწაფულ ფილოსოფიას, არც აღმოსავლეთის დემონურ თეურგიას, არც ზოროასტრის ცეცხლთა ანაშუქს არ შეეძლოთ ცხოვრების მიზნისა და აზრის გაცხადება, მყოფობის საიდუმლოსთვის ნათლის მოფენა და მშვიდობის მინიჭება ევსტათის ბო-

ბოქარი და ჭეშმარიტების მწყურვალ სულისთვის. მან გადაწყვიტა, მოეძიებინა უცნობი ღმერთი, რომელსაც ძველად საკურთხეველი აუგეს ათენში. ასე დატოვა ევსტათიმ მშობლიური სახლი და მცხეთაში დამკვიდრდა; აქ მან შეისწავლა ტყავის დამუშავების ხელობა და თავის ხელის საქმით ირჩინდა თავს.

მოზიდანის – მაგების მთავრის ძე, უწინ მოსამსახურეებითა და მოგვების ყურადღებით განებივრებული, ახლა გლახაკის ქოხში ცხოვრობდა და დილიდან დაღამებამდე შრომობდა. იგი ჭეშმარიტების განცხადებას ევედრებოდა უცნობ ღმერთს, თუგინდ სიცოცხლედაც ღირებულიყო ეს ჭეშმარიტება. ერთხელ ევსტათი სვეტიცხოველში წავიდა; მას იქ სამოელ არქიდიაკონი (შემდგომში – საქართველოს კათოლიკოსი) შეხვდა, როგორც ანგელოზი, უფლის მიერ წარმოგზავნილი მისი ეჭვების გასაფანტად და მის განსანათლებლად. სამოელთან საუბრებმა და სვეტიცხოვლის ტაძრის მადლმა ევსტათის სულიერ მზერას სახარების ის დაფარული მარგალიტი განუცხადეს, რომლისთვისაც მან დატოვა ყველა და ყოველივე. სვეტიცხოველში მისი სული ქრისტეს შეეყარა; ასე თვალახელილი ბრმა შეხვდა იერუსალიმის ტაძარში თავის მკურნალს, აღიდებდა მას და აღიარებდა ძედ ღვთისად და მსოფლიოს მაცხოვრად.

სამოელი გახდა მისთვის მოძღვარი, მამა და წინამძღვარი სულიერ ბრძოლაში; საქართველო მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა, მცხეთა – მშობლიურ სახლად, ხოლო სვეტიცხოველი – ღვთისმეტყველების ქვის დაფად და ნათლისღების ემბაზად.

იცნეს ევსტათი სპარსელებმა და სპარს გამგებელთან დააბეზღეს: ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმის შვილმა ქრისტიანობა მიიღო. იგი განსასჯელად ჩამოიყვანეს თბილისში და მარზაპანს მიჰგვარეს. ევსტათი აწამეს, ნესტოები რკინით გა-

უხვრიტეს, როგორც მხეცს, ბორკილი გაუყარეს და ციხეში ჩა-
ამწყვდიეს. ბნელ მიწისქვეშეთში ევსტათიმ დაივიწყა თავისი
წყლულები; ის სხვა ტუსალებს ამხნეებდა, შეაგონებდა – სუ-
ლით არ დაცემულიყვნენ და ქრისტეს ერთგულნი ყოფილიყ-
ვნენ. როდესაც სასამართლომ მას სიკვდილის განაჩენი გამო-
უტანა, ევსტათიმ ის სიხარულით მიიღო და ქრისტესთვის მო-
წამეობის ღირსყოფა უდიდეს წყალობად მიიჩნია. სიკვდილის
წინ ევსტათი ევედრა ღმერთს, რომ უფალს შეესრულებინა იმ
ადამიანების სავედრებელი, ვინც მის ნემშთან მივიდოდა და
მისგან შემწეობას ითხოვდა. იგი უფალს შეევედრა აგრეთვე,
რომ მისი სხეული გადაესვენებინათ მცხეთაში, სადაც მან, რო-
გორც თვალახელილმა ბრმადშობილმა, სულის მზერით იხი-
ლა ნათელი.

ზეციდან მოისმა ხმა, მაუწყებელი მისი ლოცვის შესმენისა.
კათოლიკოსმა სამოელმა ევსტათის ცხედარი სვეტიცხოვლის
მთავარი საკურთხევლის ტრაპეზს ქვეშ დაკრძალა. დიდმოწა-
მის ნემშიდან გამომავალი მადლი ოქროს წვიმასავით ეპკუ-
რება ყველას, ვინც რწმენითა და კრძალულებით შედის მცხე-
თის ტაძარში.



მეექვსე საუკუნე საქართველოს სულიერ მატრიანეში ასურე-
ლი მოღვაწეების – ღირსი იოანე ზედაზნელისა და მისი თორ-
მეტი მოწაფის ჩამოსვლით აღინიშნა.*

*ღირს იოანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს ძველი ქართული ტრადი-
ციით ასურელი მამები ეწოდებათ, თუმცა ქალაქი ანტიოქია და შავი მთა, სა-
დაც ისინი მოღვაწეობდნენ, სირიაშია; ისინი სირიელი მამები არიან. ძვე-
ლად საქართველოში სირიას ასურეთს უწოდებდნენ.

წმინდა ნინოს ქადაგების შემდეგ საქართველოს ეკლესია კათოლიკოსებისა და ეპისკოპოსების ხელით გაშენებულ და მოწამეთა სისხლით მორწყულ ყვავილნარს ჰგავდა. ქალწულ ნინოს მიერ იერუსალიმიდან საქართველოში ჩამოტანილმა ქრისტიანობის საკვირველმა ყვავილებმა თარგამოსის ძეთა ქვეყანა მეორე პალესტინას მიაძგავსა. მაგრამ წარმართობა საქართველოში სასიკვდილოდ განგმირული კი არა, მხოლოდ დაჭრილი მხეცი აღმოჩნდა, რომელმაც გამოცოცხლება დაიწყო და ქრისტეს ეკლესიასთან ახალი ბრძოლისთვის შეემართა. საქართველოს ორსავე დედაქალაქში – მცხეთასა და თბილისში – კვლავ აგიზგიზდა ცეცხლი ზოროასტრელთა ბომონებში. მთის ოლქებში ხელახლა მიიქცნენ წარმართობისაკენ მთელი ტომები.

წინათ ირანი საქართველოში ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად თავის ჯარს გზავნიდა: საბრძოლო სპილოებს – მთიდან დაშვებული მყინვარებივით ყველაფერს რომ აცამტვერებდნენ თავიანთ გზაზე; რკინის ჯავშანმოსილი ქვეითი ჯარისკაცების ლეგიონებს; პართელ მოისრებს, რომლებიც გაჭენებულ ცხენზე ამხედრებულნი, მოწინააღმდეგეს ჩაფხუტის თვალის განაჭერში ახვედრებდნენ ისარს და განგმირავდნენ. მაგრამ ძლევამოსილმა ირანმა სახარება ვერ დაასამარა ქალაქების ნანგრევებქვეშ და ქრისტეს სახელი ხანძრების ცეცხლით ვერ ამოწვა ხალხის გულიდან.

მაშინ ირანმა ბრძოლის მეორე სახე აირჩია, უფრო მზაკვრული და სახიფათო: იგი ფილოსოფიურ სკოლებში საქართველოსათვის მაზდეიზმის მქადაგებელთა მომზადებას შეუდგა, რომელნიც არცთუ იშვიათად ქრისტიანებად აჩვენებდნენ თავს და საეკლესიო თანამდებობებსაც კი იღებდნენ (მაგ. არქიეპისკოპოსი მოზიდან).

ირანი თვით საქართველოშიც უწევდა მფარველობას მანიქველებს და ერეტიკოსებს, რათა ეკლესია შიგნიდან დაენგრია, როგორც ციხესიმაგრეს ტუხენ შიგნიდან.

საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზები, მიმავალი ირანიდან ბიზანტიისკენ, ინდოეთიდან სკვითიისკენ. საქარავნო გზები იქცა არხებად, რომლებითაც წარმართობამ კვლავ შემოაღწია საქართველოში, განსაკუთრებით – დიდ ქალაქებში. გამაზდენებული ვაჭრები და ხელოსნები ირანის შეღავათებითა და მფარველობით სარგებლობდნენ. თბილისში ქრისტიანული ტაძრების გვერდით წარმართული სალოცავები შენდებოდა.

და აი, ამ დროს ქალწულმა მარიამმა თავის წილხვდომილ ქვეყანაში წარმოგზავნა სულიერი ჯარი – თორმეტი ახალი მოციქული – ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები.

იოანე ზედაზნელი სახელგანთქმული სირიელი მოღვაწე იყო. იგი ცხოვრობდა მთებში ანტიოქიის მახლობლად და, როგორც სინას მთის მამასახლისი იოანე კლემასი, კლდეთა წიაღში ნაკვეთ სკიტეებსა და დასაყუდებლებში მობინადრე მონაზვნებს ხელმძღვანელობდა. დუმილსა და მოუკლებელ ლოცვაში ატარებდნენ ცხოვრებას მონაზვნები, შაბათ ღამეს კი (კვირაძალზე) ეკლესიაში იკრიბებოდნენ, ქრისტეს წმიდა საიდუმლოს ეზიარებოდნენ და შემდეგ თავიანთ ილუმენს ესაუბრებოდნენ.

მონაზვნური ცხოვრება დაუცხრომელი, სოფლისთვის უხილავი ბრძოლაა ჯოჯოხეთის ურჩხულებთან. იგი მიმდინარეობს ადამიანის გულში, როგორც ოდესღაც – მხეცებთან ბრძოლა კოლიხეუმის არენაზე. მონაზვნობა ღვთის სიყვარულია. ადამიანს არ სურს მისი გაყოფა შემოქმედსა და მის ქმნილებას შორის. მონაზვნობა საღმრთო მშვენიერების ჭვრეტის სურვილია. ღვთისკენ სავალ გზაზე საძაგელი ლანდებივით, შა-

ვი აჩრდილებივით დგანან ადამიანის ცოდვები და ვნებები — შავი საფარველი, რომელიც საღმრთო ნათელს ფარავს. ამიტომ მონაზვნის ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, თავის თავთან ბრძოლაა. ადამიანს შავბნელი ძალები ეღობებიან სულიერ გზაზე. ისინი მას წარმოუსახავენ ცოდვის სურათებს ყველაზე მაცდუნებელი სახით, ზღაპრული სირინოზებივით უძღერიან მომაჯადოებელ სიმღერებს. ვინც მამაცურად ებრძვის ხორციელ საცდურებს, დემონები მათ ცდუნებას ცდილობენ სულიერი ამპარტავნებით, და სხვა მისტიკური სიღრმის, სხვა სულიერი სიმაღლის მოჩვენებითა და აღთქმით ცდილობენ მათ განყენებას სახარების საღმრთო მშვენიერებისაგან.

მონაზვნების წინამძღვრის ერთ-ერთი მთავარი ნიჭი გულისხმისყოფა და განკითხვაა — ნიჭი ჭეშმარიტების ტყუილისგან — ჭეშმარიტების სუროგატისგან — გარჩევისა, ნიჭი ნათლის სულების გარჩევისა დემონებისგან, რომლებიც ანგელოზის სახეს იღებენ. მონაზვნის ცხოვრება მოუკლებელი ლოცვაა; უმისოდ მონაზვნის გული კვდება და ცივდება ფერფლივით, სული კი ყროლდება, როგორც მატლებდასეული გვამი. სულიერმა მოძღვარმა თვითონ უნდა მოიხვეჭოს თავის გულში ლოცვა, მდინარი წყაროს სადარი; და არა მარტო ასწავლიდეს ლოცვას, არამედ ამ წყაროს წყალს ასმევდეს იმათაც, ვინც მას მიმართავს. სულიერი მოძღვარი უნდა გრძნობდეს, თითქოს ხედავდეს თავისი ყოველი მოწაფის სულს — დედასავით, რომელსაც ძილშიც კი ესმის თავისი შვილის გულის ცემა. ამიტომ წინამძღვარი მასწავლებელზე და მამაზე აღმატებულია. მას „აბბას“ უწოდებენ — სიტყვას, რომელიც სხვა ენებზე არ ითარგმნება. მონაზვნობა სოფლის ნათელია, მიწიერი ეკლესიის გულია.

ცამეტ მონაზონს წინააღმდეგობა უნდა გაეწია ირანისა და თურანისათვის, რომელთა მოწოლისაგან არცთუ იშვიათად რომაელთა სახელგანთქმულ ლეგიონებში ტყდებოდა განგაში და ისინი უკან იხევდნენ.

ქალწული მარიამი გამოეცხადა ძილში ღირს იოანეს და საქართველოში წასვლა უბრძანა. ის მაშინვე შეუდგა მოგზაურობისთვის მზადებას – აბრაამივით, რომელსაც ღმერთმა ქალდების დატოვება და თავის ოჯახთან ერთად ჩრდილოეთში, შორეულ ქვეყანაში წასვლა უბრძანა. ღირს იოანეს თავის მოწაფეებში თორმეტი თანამგზავრის გამორჩევა ყოველივეზე მეტად უმძიმდა, რადგან ყოველი მათგანი უყვარდა უფრო დიდი სიყვარულით, ვიდრე მამას – თავისი შვილები. მან გადაწყვიტა, მოციქულებისთვის მიეზარა, რომლებმაც წილი იყარეს სიონის სახლში: იოანემ პერგამენტებზე დაწერა მოწაფეების სახელები, ისინი სამკვეთლოზე დადო, აღასრულა ლიტურდია, შემდეგ კი აიღო თორმეტი წარწერა. დიდად დამწუხრდნენ მონაზვნები, რომლებიც თავიანთ მოძღვარს უნდა გამოსთხოვებოდნენ. მაგრამ მათ ანუგეშებდათ რწმენა, რომ ეს ღვთის ნება იყო და ქალწული მარიამი უხილავად მათთან იქნებოდა, როგორც დედა – თავის შვილებთან. ყველა მონაზონი გამოვიდა საყვარელი მოძღვრის გასაცვილებლად ბაირაღებითა და ხატებით ხელში, როგორც ლიტანიის დროს. მათ იცოდნენ, რომ ერთიმეორეს ხორციელად შორდებოდნენ, სულიერად კი ისევ ერთად იქნებოდნენ.

საქართველოში ჩამოსვლამდე ღირსი იოანე თორმეტ მოწაფესთან ერთად წავიდა თავის სულიერ ძმასთან – ღირს სვიმეონ საკვირველმთელ მესვეტესთან, რომელსაც „აღმოსავლეთის მზე“ ეწოდა. ღირსმა სვიმეონმა სვეტის სიმაღლიდან, როგორც სამეფო ტახტიდან, აკურთხა ისინი საქართველოში წას-

ვლახე და ყოველი მათგანისთვის გამუდმებით ლოცვა აღუთქვა მათ. ღირს იოანეს და მის მოწაფეებს თან არაფერი წამოუღიათ, როგორც ქრისტეს მიერ წარგზავნილ მოციქულებს. ყოველ მათგანს მხოლოდ ჯვარი და ბერის არგანი ეპყრა ხელში, ერთ მათგანს კი – ღირს ანტონის – მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ესვენა მკერდზე. მაგრამ მათი საუნჯე მსოფლიოს ყველა სამეფოს სიმდიდრეს აღემატებოდა – ისინი ფლობდნენ სულიერ ნათელს, რომელიც ანტიოქიის უდაბნოდან თავიანთ ახალ სამშობლოში მოჰქონდათ. ეს ნათელი ქართლისა და კახეთის მონასტრებსა და სავანეებში ამობრწყინდა; ეს ნათელი აღმასის სვეტად იქცა საქართველოს ეკლესიისათვის. ასურელ მამებს თან მოჰქონდათ მისტიკური გამოცდილება და წესდება სირიული მონაზვნობისა, რომელსაც სათავე დაუდო დაფარულთ მცნობელმა და ქალწულმახარებელმა იოანე ღვთისმეტყველმა.

მცხეთის კათოლიკოსს – ევლავიოზს ძილში ებრძანა: სასულიერო პირებთან ერთად გასულიყო მცხეთის კარიბჭიდან და ღვთის კაცებს გზაზე მიჰგებებოდა. სადღესასწაულო შესამოსლით მოსილი კათოლიკოსი, ანთებული კელაპტრებითა და საცეცხლურებით ხელდამშვენებულ დიაკვნებთან და თეთრი შესამოსლით მოსილ მღვდლებთან ერთად დედაქალაქიდან გავიდა. გზა ცარიელი იყო. კათოლიკოსი დაჟინებით გასცქეროდა მას; და აი, დაინახა: მოსახვევში მოგზაურები გამოჩნდნენ – მცხეთისკენ მოემართებოდნენ; მონაზვნები იყვნენ, რომლებსაც ძველი, დამტვერილი სამოსი ეცვათ, რადგან დიდი გზა გამოევლოთ; სვატისა და დაღლილობისაგან ღონე მიხდოდათ, მაგრამ, ანტიოქიური ტრადიციით, კუნკულები ეხურათ და მანტიები ემოსათ. წინ მოდიოდა ღირსი იოანე, როგორც სარდალი – ჯარის სათავეში. კათოლიკოსმა იხილა, რომ მათ ნათ-

42

ლის ღრუბლის შარავანდედი ემოსათ, მათი სახეები ანგელო-
ზებრივი მშვენიერებით ბრწყინავდა. „კეთილად მოხუედ, მა-
მაო წმიდაო“ (იხ. „საქ. სამოთხე“, გვ. 225) – თქვა კათოლი-
კოსმა და მათ თაყვანი სცა მიწამდე დადრეკით; ძველ დროს
ასე ხვდებოდა სახლის პატრონი მოგზაურებს. მონაზვნები ფე-
ხებში შეუვრდნენ კათოლიკოსს და მისგან კურთხევა ითხოვეს.
შემდეგ ისინი სვეტიცხოვლისკენ – საუფლო კვართისკენ გა-
ეჩქარნენ, როგორც წყაროსკენ იჩქარიან დიდხანს სიარულის-
გან დამაშვრალი მოგზაურები.

სამი წელი გაატარეს წმინდა იოანემ და მისმა მოწაფეებმა
მცხეთაში და ემსგავსნენ მოციქულებს, რომლებიც იერუსალიმს
არ განშორებიან სულიწმიდის გარდამოსვლამდე. მონაზვნები
საუფლო კვართთან ლოცულობდნენ, თითქოს აბჯარ-საჭურ-
ველს ჭედავდნენ სულიერი ბრძოლებისთვის.

და აი, ერთხელ ღირსმა იოანემ ჩრდილოეთით იხილა შავი
ნისლი, რომელიც ქარბორბალასავით დაქროდა ზედაზნის
მწვერვალზე. იოანე მიხვდა, რომ ეშმაკები დასტრიალებდნენ
ზედაზენს – მთას, სადაც დაკრძალულია ქართლოსი, ქარ-
თველთა მამათმთავარი;* მიხვდა, რომ მანამ, სანამ სულიერი
მხედრობა საქართველოს ამ აკროპოლისს ალაფივით არ გამოგ-
ლეჯს ჯოჯოხეთის ძალების ხელმწიფებას სულიერი ბრძოლით,
სატანის შავი ფრთები კვლავ განრთხმული იქნება საქართვე-
ლოზე.

ღირსმა იოანემ ლოცვა-კურთხევა აიღო კათოლიკოსისაგან
და თავის მოწაფეებთან ერთად ავიდა ზედაზენზე – დემონე-
ბის საბრძანებელში, როგორც გამარჯვებულები შედიან ალ-

* არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც ქართლოსი დაკრძა-
ლულია არმაზის მთაზე.

მოდებულ ქალაქში. საღმრთო მადლის მიერ დაცული მონაზვნები უვნებლად გადაურჩნენ ჯოჯოხეთის ცეცხლს და დაამხვეს ეშმაკთა მეუფება ზედაზენზე.

ანტიოქიელთა ჩვეულებისამებრ, მათ მთაში სენაკები მოიწყვეს მათ მიერვე გამოთხრილ გამოქვაბულებში. წარმართული ბომონის ადგილზე ააგეს იოანე წინამორბედის – ილუმენის ზეციერი მფარველის – სახელობის ტაძარი; თითქოს საქართველოს თავზე აფრიალებული მტრის დროშა დაიფხრიწა და მის ნაცვლად ჯვრის ნიშნიანი ხორუგვი აღიმართა.

ზედაზნის მონასტერი არწივის ბუდეს ჰგავს, მთის მწვერვალზე აშენებულს. პირველებმა, როგორც არწივის მართვეებმა, ბუდე დატოვეს ისემ და აბიბოსმა, რომელთაც კათოლიკოსისა და მეფის ნებით, ხელნი დაასხეს ორი უძველესი ეპარქიის – წილკნისა და ნეკრესის ეპისკოპოსებად. ისემ სახელი გაითქვა სასწაულთქმედების ნიჭით, აბიბოსმა – ცეცხლთაყვანისმცემლობასთან ბრძოლით, რაც მოწამებრივი ღვაწლით აღასრულა. ღვთისმშობლის მეორედ გამოცხადების შემდეგ იოანემ თავისი მოწაფეები ქართლისა და კახეთის ყოველ კუთხეში გაგზავნა, თვითონ კი ზედაზენზე დარჩა ილია დიაკონთან ერთად. როგორც თორმეტმა ბღღვრიალა ჩირაღდანმა, იოანეს თორმეტმა მოწაფემ სახარების ქადაგების უქრობი სულიერი ნათლით გააცისკროვნა ქართლი და კახეთი თრიალეთიდან კავკასიონის მთებამდე.



საქართველოს ეკლესია ადიდებს ღირს შიო მღვიმელს – თავისი სულით ილია წინასწარმეტყველსა და წმინდა ანტონი დიდს შემსგავსებულ ანაქორეტსა და მეუდაბნოეს. მას ველური მხეცეები ემორჩილებოდნენ და ღირსმა შიომ მათი ენა იცოდა, მსგავსად ადამისა – ედემში. მისმა სამონაზვნო მანტიამ არაგვის ტალღები გააპო, როგორც ილია წინასწარმეტყველის ხალენმა – იორდანე. მან მათა ხეობაში დააარსა შიომღვიმის სავანე, როგორც ღირსმა საბამ – ლავრა იერუსალიმის მახლობლად – კლდეში ნაკვეთი სენაკებით, რომელთა საფეხურებიც ქვევით, ღრმა ხევის ფსკერზე ჩადიოდა. კლდეები შიომღვიმის მონასტრის ირგვლივ გამოქვაბული სენაკებით არის აჭრელებული; მთა ფუტკრის სკას შემსგავსებია, სადაც მონაზვნები ლოცვისა და დუმილის ყვავილებისგან მადლის თაფლს იუნჯებდნენ. თავისი ცხოვრების მიმწუხრზე ღირსმა შიომ ღრმა ჭის მსგავს ქვის მიწისქვეშეთში ჩამოწყვდია თავი, როგორც მსაჯულმა – ტუსალი. მღვიმის წყვილიაღში მისი სული საღმრთო ნათელს ჭვრეტდა. იგი თავის ქვის კუბოში მიეგება სიკვდილს, როგორც საუკუნო ცხოვრებას. ეკლესიამ მას უწოდა „გოდოლი და საცო სამეფოსა საქართველოჲსა“.

ღირსი დავით გარეჯელი თბილისის დასავლეთით აზიდულ მთაზე დასახლდა. მას ლოცვის განსაკუთრებული ნიჭი მიემადლა. ის თითქოს ყველა თბილისელის ცოდვებს ინანიებდა, მათ ცოდვებსაც კი, ვინც ქრისტეს განუდგებოდა. მას სურდა, მოწამის სისხლის სადარი თავისი ლოცვის ცრემლით ზოროასტრის ბაგინებში ცეცხლები ჩაექრო, დამდამობით მთის ძირში შექუჩებული მგლების თვალებივით რომ ბრიალებდნენ. ღირსი დავითი ექვს დღეს განმარტოებული იყო და დაუცადებლად ლოცულობდა, ყოველ ხუთშაბათს კი ქალაქში ჩამოდიოდა და სახარებას ქადაგებდა. ქრისტესგან განდგომილთაგან ბევრი იწ-

ვოდა თავისი სინდისის ცეცხლით, ინანიებდა და კვლავ ქრისტიანობას იღებდა. უამრავი ხალხი იკრიბებოდა დავითის ქადაგების დროს, გეგონებოდათ, ომში გამარჯვებულ მეფეს ხვდებოდნენ.

ღირს დავითს შეთქმულება მოუწყვეს: ცეცხლთაყვანისმცემლებმა მისი შერცხვენა გადაწყვიტეს, რათა თვითონ ქრისტიანებს კეთროვანივით გაეძევინათ ქალაქიდან თავიანთი მქადაგებელი. ოქროთი მოსყიდულმა ზნედაცემულმა ქალმა წმინდანს სახალხოდ შესწამა ცილი, როგორც არიანელებისგან მოსყიდულმა მეძავმა – მღვდელმთავარ ათანასე ალექსანდრიელს. ეშმაკის ბერძნული და რუსული შესატყვისი – „დიაბოლოს“, „დიავოლ“ ნიშნავს ცილისმწამებელს. ამიტომ ცილისმწამებლის მეორე სახელი ეშმაკია. როგორც ჯოჯოხეთის სული, ადამიანად გარდასახული, მოსყიდული მეძავი წმინდანს შემცდენელს უწოდებდა, და ქალწულს – მსიძავს.

აღიძრა ხალხი და თავისი მოძღვრისა და სულიერი მამის გასამართლება გადაწყვიტა. მაგრამ ღვთის სასწაულმა ცხადყო ღირსი დავითის უბიწოება. ჩვილმა ბავშვმა აიმაღლა ხმა დედის მუცლიდან და დედამისი სიცრუეში ამხილა. ხალხი შენდობას სთხოვდა წმინდანს და ევედრებოდა, თბილისი არ დაეტოვებინა. მაგრამ დაცემული ქალის სიკვდილით დასჯის გამო (ბრბომ იგი ქვებით ჩაქოლა) დამწუხრებულმა დავითმა გადაწყვიტა, სამუდამოდ დაეტოვებინა დედაქალაქი. საღმრთო მადლი მას მეუდაბნოს ღვაწლისკენ მოუხმობდა. ხალხმა ქალაქის კარიბჭეები ჩარაზა, ყველა გზა გადალობა, რათა წმინდა დავითს ველარ გაეღწია ქალაქიდან. მაშინ ღირსმა მამამ თავისი მანტია მტკვრის ტალღებზე დააგდო და თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მასზე დადგა, როგორც ნავზე, და მათ მდინარის დინების მიმართულებით, აღმოსავლეთისკენ გაცუ-

რეს. ახალი სასწაულისგან შეძრული ხალხი ტიროდა და სირბილით მიჰყვებოდა მდინარის ნაპირს — წმინდანს მისდევდა. მაგრამ ღირსი მამა ლოცვაში ჩაღრმავებულიყო, აღარაფერს მიუგებდა მათ, ვინც ეძახდა და დაბრუნებას სთხოვდა, და უკან არ მობრუნებულა მანამ, სანამ ქალაქი მდინარის მოსახვევში თვალს არ მიეფარა. გარეჯის კლდოვან და უკაცურ უდაბნოში, ეგვიპტის უდაბნოებს რომ ჰგავს, ღირსმა დავითმა მონასტერი დააარსა. შემდგომში იგი იქცა დიდებულ ლავრად, ხალხი მას ივერიის თეზაიდას უწოდებდა.

ღირსმა ანტონი მარტო მყოფელმა (მარტყოფელმა) სვიმეონ მესვეტის ღვაწლი გაიმეორა. ქვის მაღალი კოშკის ბაქანზე ზამთარ-ზაფხულ, თოვლის თეთრი სუდარის ქვეშ და მცხუნვარე მზეზე, რომლისგანაც ქვებიც კი ვარვარებდა, ის ანდამატისგან ნაკვეთი ცოცხალი სვეტივით იღვა. მქადაგებლები მოივლიდნენ ხოლმე ქალაქებს, სოფლებს, სვეტის კვარცხლბეკთან კი ხალხი თვითონ მოდიოდა განუწყვეტლივ არა მარტო საქართველოდან, არამედ შორეული ქვეყნებიდანაც. მისი სიტყვა ისმინა უფრო მეტმა ადამიანმა, მის სვეტთან ქრისტეს სარწმუნოებაზე მოექცა უფრო მეტი წარმართი, ვიდრე — მთელი ივერია რომ მოევლო ქადაგებით.

მესვეტეობის ღვაწლი ადამიანის ძალებს აღემატება; მისი აღსრულება შესაძლებელია განსაკუთრებული საღმრთო მადლის შემწეობით, რომელიც გარდაქმნის არა მარტო სულს, არამედ ადამიანის სხეულსაც კი. მესვეტე ხალხის თვალში მიწაზე ზეგარდმოსული ანგელოზის სადარი იყო. მესვეტის ცხოვრება სასწაულია, რომელსაც ცხადად უმზერს ხალხი.

წმინდა ისემ, წილკნელმა ეპისკოპოსმა, თავისი სულიერი მამისგან — ილუმენ იოანესგან დაიმკვიდრა მოუკლებელი ლოცვის ნიჭი და მისი სამონაზვნო კვერთხი. მოსეს კვერთხს შემ-

სგავსებული ამ არგნით იგი საკვირველ სასწაულებს ახდენდა: კლდეებიდან წყაროებს აღმოაცენებდა, კვერთხის წვერის შეხებით კურნავდა ავადმყოფებს, კვეთებულებისგან განდევნიდა დემონებს. ჯოჯოხეთის ძალები მას ვერ ეწინააღმდეგებოდნენ, როგორც მოსეს – ეგვიპტელი ქურუმები. ერთხელ ლიტურღლის შემდეგ ის ხალხთან ერთად მივიდა მდინარე ქსნის ნაპირზე; ილოცა, თავისი მოძღვრის კვერთხი სამჯერ ჩაუშვა მდინარეში, შემდეგ წილკანში დაბრუნდა და... მდინარის წყალი უკან გაჰყვა მის კვერთხს, როგორც ცხვრის ფარა – თავის მწყემსს.

ცეცხლთაყვანისმცემლებმა ნეკრესის ტაძრის ბჭესთან სულ ახლოს ააშენეს თავიანთი სალოცავი, სადაც ჯოჯოხეთის უქრობი ცეცხლივით, დღედაღამ ენთო ცეცხლი. ისინი ეკლესიაში ლოცვაზე მიმავალ ქრისტიანებს იჭერდნენ და ცეცხლის თაყვანისცემას აიძულებდნენ. ორმუზდის დღესასწაულზე წმინდა აბიბოსი დემონთან საბრძოლველად აღემართა, როგორც გიორგი კაბადუკიელი – დრაკონის შესამუსრად. მან სპარსული ღვთაება წყლის დასხმით დაშრიტა, რისთვისაც იგი ჰგვემეს, ნაირ-ნაირი სატანჯველით ტანჯეს და ქვებით ჩაქოლეს.

წმინდა ნეოფიტემ, გაქრისტიანებამდე – არაბმა სარდალმა, შიომღვიმის სავანის თავზე ანგელოზები და ღირსი შიომღვიმელი იხილა, ზეციური დიდებით მოსილი. საკვირველი სახილველით შეძრულმა, მახვილი ჯვარზე გაცვალა, მეომრის ჯავშან-საჭურველი – მონაზვნის მანტიასზე, და ქრისტეს მსახურთა თანამოსაგრე გახდა. მან მონაზვნის ყოველგვარი მორჩილება აღასრულა და მოღვაწებრივი ცხოვრებისათვის აირჩიეს სავანის ილუმენად; შემდგომში კი მან სულიერი მხედრობის სარდლის პატივი შეიმოსა – ურბნისის ეპისკოპოსის ხარისხი მიიღო. ღამით ცეცხლთაყვანისმცემლებმა ნეოფიტე მო-

იტაცეს, ქალაქგარეთ გაიყვანეს და, სტეფანე პირველმოწამესავით, ქვებით ჩაქოლეს. ქრისტიანებმა ვნებათა დამთმენელი მღვდელმთავრის ცხედარი შიომღვიმის მონასტერში გადმოსვენეს, სადაც იგი თავდაპირველად დაადგა მონაზვნობის გზას. იგი დაბრუნდა, როგორც მძლეველი ომის შემდეგ – თავის მშობლიურ ქალაქში, და სავანეს ალაფივით დაუტოვა სისხლისგან შეღებილი თავისი ნაწამები სხეული.

იოსებ ალავერდელი ზემო ქართლსა და კახეთში ქადაგებდა სახარებას. მისი ეპარქია კავკასიის მიუვალი კლდეები იყო. იგი დადიოდა სოფლებში, რომლებიც კლდეების შვერილებზე მიკრულ ბუდეებს ჰგავდა; მთებზე ადიოდა ვიწრო ბილიკებით, მათზე ორი მგზავრიც კი ვერ აუქცევდა გზას ერთიმეორეს; უფსკრულებსა და სწრაფ ნაკადებზე გადადიოდა ტოტებისგან დაწნული ხიდებით. ხშირად თოვლში უსწრებდა შეღამება, ხოლო განთიადი – გზაში. ის მთის არწივს მოჰგავდა, ირაოდ რომ ფრენს მალლა, კავკასიონის მწვერვალებს ზევით. მან დააარსა ალავერდის მონასტერი და იქვე, თავის დასაყუდებელში დაასრულა სიცოცხლე. იოსებმა სულიერი სისრულის ყველა საფეხური გაიარა: მორჩილებით დაიწყო და დაყუდებით დაასრულა. იღუმენი განეკუთვნება თავის მონასტერს, ეპისკოპოსი – თავის ეპარქიას, ხოლო დაყუდებული – მთელ საქრისტიანოს.

ეკლესია ადიდებს იოანე ზედაზნელის მოწაფეებს: სულიერი სიბრძნით დაჯილდოებულ ღირს სტეფანე ხირსელს; ზენონ იყალთოელს, რომელმაც თავისი თავი მორჩილების ჯვარს აცვა; პიროს ბრეთელს, ცხოვრებას გლოვასა და სინანულში რომ ატარებდა დიდი ეფრემივით; მიქაელ ულუმბოელს, რომელმაც ბავშვური უბრალობა და სიწმინდე მოიხვეჭა მაცხოვრის სიტყვისამებრ: „იქმნეთ, ვითარცა ყრმანი“ (იხ. მთ. 18. 3); თადეოზ სტეფანწმინდელს – სარწმუნოების მოშურნესა და

ერესების მამხილებელს; ისიდორე სამთავნელს – ყველა სათნოების სურნელოვან ყვავილნარს, ვისთვისაც გოდოლი დუმილი იყო, ხოლო წყალსატევი – მოუკლებელი ლოცვა.

ილია დიაკონი ზედაზენზე დარჩა თავის აბზასთან ერთად. ყოველდღე აჰქონდა წყალი არაგვიდან ზედაზენზე, როგორც ლოთს – ქედრონის ნაკადულიდან იერუსალიმში. იღუმენ იონანეს ლოცვითა და ღირსი ილიას მორჩილებით უფალმა ზედაზენის კლდიდან წყარო აღმოაცენა. მოძღვარი და მოწაფე სიცოცხლეში არ შორდებოდნენ ერთმანეთს და სიკვდილის შემდეგაც არ გაყრილან: ისინი ერთიმეორის გვერდით დაიკრძალნენ საკურთხეველთან.

წმინდანთა საფლავები სულიერი ნათლის დაუშრეტელი წყაროებია; მათი მღვიმეები, სენაკები, დასაყუდებლები მადლის საცავებია, უფრო საკვირველნი, ვიდრე იაკობის ჭა, რომელთანაც უფალმა სამარიტელს – ადამიანის ცოდვილ სულს – აღუთქვა მიცემა „წყლისა ცხოველისა“.



მეშვიდე საუკუნემ საქართველოში მოგიზგიზე ცეცხლისფერ მერანზე ამხედრებული აპოკალიფსური რაინდივით – მომავალი ომების აჩრდილივით შემოაბიჯა. ირანმა მაჰმადიანების მოწოლას ვეღარ გაუძლო და დაეცა. ირანის ლომი მუხლებზე დაემხო ომარ ხალიფას წინაშე, როგორც ათი საუკუნის წინ ბიზანტია დაემხო ალექსანდრე მაკედონელის წინაშე. იგი ერთიმეორის მიყოლებით კარგავდა პროვინციებს და ჰგავდა მარ-

ჯნის კუნძულს, რომელსაც ზღვის ტალღები რეცხავდნენ. ის-
ლამური სამყარო ტყის ხანძრის სისწრაფით უახლოვდებოდა
საქართველოს საზღვრებს. მალე მუსლიმანთა ჯარი, ბასრი სა-
წერტელივით, ღრმად ჩავსო საქართველოს სხეულში. ქართლ-
კახეთის ქალაქებში არაბთა გარნიზონები ჩადგნენ.

საქართველო განსაკუთრებით მოაოხრა ხალიფა მურვან-
ყრუს შემოსევამ; მას უღმობლობის გამო უწოდეს „ყრუ“. მურ-
ვან-ყრუმ სდევნა სომხეთის მეფე სუმბატი და სურამის უღელ-
ტეხილით დასავლეთ საქართველოში შემოიჭრა. ქუთაისის მახ-
ლობლად არაბებს გზა გადაუჭრა ქართველთა ჯარმა; მას წინ
უძლოდნენ არგვეთის მთავრები, ძმები დავითი და კონსტანტინე
მხეიძეები. მურვანის მეწინავე რაზმები იძლივნენ, მაგრამ ამის
შემდეგ საქართველოს ჯარს არაბთა სხვა ლაშქარმა შემოარ-
ტყა ალყა. დაეცა ქუთაისი. მთავრები – დავითი და კონსტან-
ტინე ტყვეობაში აღმოჩნდნენ. მურვანის მთავარი ალაფი იყო
არა ქუთაისი, არა დახოცილი ჯარისკაცების ცხენები და ია-
რალი, არამედ არგვეთის ორი მთავარი. მას მიაჩნდა, რომ თუ
ისინი ისლამს მიიღებდნენ, ეს უფრო დიდი ძლევა იქნებოდა
მისთვის, ვიდრე ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებები.

ხალიფამ ძმებს მიმართა არა როგორც ღირსებაშელახულ
ტყვეებს, არამედ როგორც პატივით თავის თანასწორ ხელმწი-
ფეებს. მან დავითს შესთავაზა: „გყუნე თქვენ მთავარ და დი-
დებულ ყოველსა სპარსეთსა და არაბიეთსა ზედა... სპასალარ
და წინამძღუარ ყოველსა ზედა ლაშქარსა ჩემსა“ (იხ. „საქ. სა-
მოთხე“; გვ. 326). კონსტანტინეს კი აღუთქვა, რომ არაბ მთავ-
რებზე მაღლა დააყენებდა, ძმად მიიჩნევდა და მას არასოდეს
გაეყრებოდა, როგორც საკუთარ აჩრდილს. ოღონდ ამისათვის
ძმებს ერთი პირობა უნდა შეესრულებინათ – ქრისტეს გან-
დგომოდნენ და მიეღოთ ისლამი. მთავრებმა უარი განაცხადეს.

ხალიფამ ბრძანა, ეტანჯათ ისინი. ერთი კანონი აქვთ ძველ და ახალ ტირანებს: წამება ეკითხება, ხოლო ტკივილი პასუხობს. წმინდანებს ხმლის პირებით უსერავდნენ სხეულებს, ჭრილობებს ცეცხლით უწვავდნენ, თავდაღმა კიდებდნენ და ნესტოებში ძმარს ასხამდნენ. შემდეგ მიწისქვეშეთში ჩაყარეს და შიმშილითა და წყურვილით კლავდნენ. ძმებს იმამები მიუგზავნეს, რომლებმაც უთხრეს: ჩვენ ხომ წარმართები არ ვართ, არამედ გვწამს ერთი ღმერთი, ისევე, როგორც თქვენ; ამიტომ ისლამს თუ მიიღებთ, ამით ღმერთს არ უარყოფთ. მთავრებმა მიუგეს: ქრისტია ჩვენი ცხოვრება, ხოლო მისგან განდგომა – საუკუნო სიკვდილი. განა სულ ერთი არ არის, სად დაინთქმება ხომალდი – შუაგულ ზღვაში თუ მის ნაპირთან!.. ბოლოს, როცა თვითონ ჯალათები დაილაღნენ მათი ტანჯვით, მთავრებს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს.

უკანასკნელი ლოცვით წმინდანები ღმერთს შეევედრნენ, რომ ისინი სიკვდილის შემდეგაც არ განეშორებინა ერთიმეორისგან და შეესრულებინა იმ ადამიანების ლოცვა-ვედრება, ვინც მათ შემწეობისათვის მოუხმობდა. ძმებს ძძიმე ქვები გამოაბეს და რიონში ჩაყარეს. მაგრამ მოხდა სასწაული: გვამები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა; მდინარის ძლიერი ნაკადი თითქოს მოუძღურდა და წმინდა ცხედრებს ძვრაც ვერ უყო. ისინი იწვნენ რიონის ტალღებზე, როგორც უძრავ სარეცელზე. თავადების სამხედრო რაზმის მებრძოლებმა, რომლებიც ქუთაისის შემოგარენში, ტყეში ემალებოდნენ არაბებს, დაინახეს, რომ რიონს ნათლის სვეტი დაადგა. ისინი მალულად მივიდნენ სანაპიროზე და იხილეს, რომ წყალში მოწამეთა გვამები ბრწყინავდნენ, როგორც მთიები განთიადისას. მეომრებმა აიღეს გვამები, რათა პატივით დაეკრძალათ. მაგრამ მათ ხმა ჩაესმათ ნათლის სვეტისაგან; იგი ბრძანებდა, ცხედრები წაე-

ლოთ აღმოსავლეთისკენ და სადაც დაათენდებოდათ, იქ დაეკრძალათ. მოწამეთა სხეულები სამხედრო ლაზარეთში შეგრანეს, როგორც სუდარებში. ისინი ხელით მიჰქონდათ, მაგრამ მერე არაბთა რაზმის შეხვედრისა შეეშინდათ. ამიტომ გვაგები ურემზე დადეს, რომელშიც ორი მოზვერი იყო შებმული, ზევიდან ბალახი დააყარეს და გზა განაგრძეს.

როგორც კი განთიადის პირველი სხივები მოეფინა დედამიწას, მოზვერები თვითონვე დადგნენ და ერთ ადგილზე გაშემდნენ – თითქოს უხილავმა ხელმა შეაჩერა. ისინი შეჩერდნენ კლდის შვერილზე, რომელიც ხრამს გადმოჰყურებდა. ეს ადგილი თითქოს ქალაქის მისადგომების დამცავი სიმაგრისათვის იყო დანიშნული საგანგებოდ. მეომრებმა მთავრების გვაგები სწორედ ამ ადგილზე დაკრძალეს. შემდგომში წმინდანების – დავითისა და კონსტანტინეს საფლავზე მონასტერი ააშენეს, მას „მოწამეთა“ ეწოდა. მათი ნეშტი მოათავსეს ერთ ლუსკუმაში, რომელსაც ხისგან ნაკვეთი ლომები აქვს კვარცხლბეკად. არგვეთის მთავართა ხსენება კეთილკრძალული პატივით არის შემოსილი. დავითისა და კონსტანტინეს ხსენების დღეს მონასტერში მომლოცველები ჩამოდიან საქართველოს ყველა კუთხიდან, და მოწამეთა საფლავზე იკრიბება ბევრად მეტი ხალხი, ვიდრე იკრიბებოდა მათ საბრძოლო რაზმეულში მურვანყრუს წინააღმდეგ ომის დროს.



არჩილ მეფე ავიდა ტახტზე, როგორც ჯვრის კვარცხლბეკზე. მისი დღეგრძელი სიცოცხლე სულიერი მოწამეობა იყო თავისი ხალხისთვის. არჩილმა როგორც კი დაიდგა ვახტანგ გორ-

გასლის გვირგვინი და ხელში სკიპტრა აიღო სამოელის – მოუსყიდავი მსაჯულის – კვერთხივით, საქართველოს საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს. მურვან ყრუს შემოჭრა, ვისი სახელის ხსენებაც კი აძრწუნებდა მთელს აღმოსავლეთს, არაბეთის უდაბნოდან ამოვარდნილ გრიგალს ჰგავდა. არჩილი და თავისი უფროსი ძმა, მირი, გამაგრდნენ ანაკოფიაში, როგორც არწივის ბუდეში. მათ ალყა შემოარტყეს. ციხეში მოციქულ სვიმონ კანანელის საფლავი მდებარეობს. მოციქულის ლოცვა იფარავდა ქალაქს, როგორც ელისე წინასწარმეტყველის ლოცვა – სირიელთა ჯარის მიერ ალყაშემორტყმულ სამარიას. ამიტომ აღმოსავლეთის დამპყრობლისთვის ანაკოფია მიუვალა აღმოჩნდა. მურვანის სისხლიანი მახვილი ანაკოფიის კედელს მოხვდა, როგორც კლდეს, დაბლაგვდა და მოიღუნა. წარმატებამ, ხალიფას თითქოს განუყრელი მეგობარივით რომ სდევდა თან, მისგან პირი იბრუნა. არაბთა ცხენოსანი ჯარი კოლხეთის ჭაობებში ჩაეფლო, როგორც ქსერქსეს ჯარი – საჰარის ქვიშებში, და მისი ნარჩენებილა დაბრუნდნენ ხალიფატში.

დადგა მშვიდობა, როგორც დღე – ხანგრძლივი ღამის შემდეგ. მაგრამ თვით მზე შეძრწუნდა უკაცრიელი და გაპარტახებული ქვეყნის ხილვისას – საქართველო ჰგავდა მინდორს, რომელსაც ურიცხვი კალია შეესია და ყოველივე გაანადგურა.

არჩილ მეფემ ხალხს მისცა ის, რისი მიცემაც შეეძლო – თავისი გული და სამეფო საგანძურის ნაშთი; თვითონ კი ხალხის მიერ მიცემული ცრემლით სავსე ბარძიმი მიიღო. მშვიდობიანობის დროს არჩილმა ქვეყანა ნანგრევებისგან აღადგინა და ხალხი ღმრთივბრწყინვალე სვეტისა და საუფლო კვართის საგრილობელში შეკრიბა. დანგრეული ქალაქების კედლების შენების დროს ოსტატ კალატოზებს ფარები და მახვილებიც იქ-

ვე ელაგათ – სამხედრო განგაშის შემთხვევისათვის; გლესს კი, მინდორში რომ გადიოდა, ნამგალიც მიჰქონდა და მახვილიც.

მეფის ცხოვრების ღვაწლი დასასრულს უახლოვდებოდა, როგორც მზე იხრება დასავალისკენ. ამირა ასიმმა იგი თავის ბანაკში იხმო და ქრისტესგან განდგომა მოსთხოვა. არჩილს არწმუნებდნენ, მხოლოდ გარეგნულად მიეღო ისლამი, სულით კი ქრისტიანად დარჩენილიყო. მაგრამ მეფე მოხუცებული ელიაზარივით მოიქცა, რომელმაც თავისი მოწამებრივი სიკვდილით მაკაბელ ძმებს ღვაწლისკენ უბიძგა. მან უარი თქვა სიცოცხლის ყიდვაზე იუდას ოცდაათ ვერცხლად – განდგომისა და მუხანათობის საფასურად, და ჭადარისგან გათეთრებული თავი ჯალათის მახვილის ქვეშ ისე მოდრიკა, თითქოს მეორეჯერ ეკურთხებოდა მეფედ. მისი ცხოვრება მოწამებრივი სიკვდილის ღირსი იყო, ხოლო სიკვდილი – მართალი ცხოვრების ღირსეული შედეგი. მოწამის სიკვდილით დასჯა – ეს არის „სარწმუნოების სიმბოლო“, დაწერილი სისხლით. ცოცხალიც და მკვდარიც არჩილ მეფე სამაგალითო იყო და სამაგალითოდ დარჩა ხალხისათვის.



მერვე საუკუნეში არაბეთის ხალიფატი უზარმაზარ ლაქასავით გაიტყულებნა მსოფლიოს რუკაზე. თავისი სიდიდით მან გადაამეტა რომის იმპერიას მისი უდიდესი კეისრების – ბედნიერი ავგუსტუსისა და ძლევამოსილი ტრაიანეს ზეობის დროს. ხალიფატის დასავლეთ სანაპიროებს ატლანტის ტყვიისფერი ტალღები ევლებოდა; აღმოსავლეთი საზღვრები ინდოეთის ოკეანის პალმებით დაფარულ კუნძულებზე გადიოდა და ჩინეთის დიდ კედელს აღწევდა; სამხრეთით იგი საჰარის უდაბ-

ნოს ერწყმოდა, სადაც ზღვის ტალღებივით ყალყზე შემდგარ ქვიშებში საზღვარს ვარსკვლავების მიხედვით განსაზღვრავენ; ჩრდილოეთით საზღვარი ხმლის ირიბი პირივით შეჭრილიყო ხაზარებისა და სკვითების მიწაში.

იქ, სკვითებისა და ხაზარების ქვეყანაში, არაბები ხან ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევდნენ, ხან კი მოულოდნელად მარცხდებოდნენ და მაშინ უკან იხევდნენ დარუბანდის კარის გავლით, — ასე მახვილს ჩააგებენ ხოლმე ქარქაშში ახალი ბრძოლის დაწყებამდე. ბალდადი — ხალიფატის დედაქალაქი — მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ ქალაქად იქცა. თავისი ზღაპრული ფუფუნებითა და დამატყვევებელი მშვენიერებით მან ინდოეთის ქალაქებს გადააჭარბა. თუ შუა საუკუნეებში ალქიმიკოსები გულმოდგინედ ცდილობდნენ ლითონის ოქროდ გადაქცევის ხერხების აღმოჩენას, არაბეთის ხალიფებმა დამორჩილებული ხალხების სისხლის ოქროდ ქცევა იცოდნენ, ხოლო დანგრეული ქალაქებისა და ტაძრების ქვებისგან ისეთ სასახლეებს აგებდნენ, ნაქანდაკევი გეგონებოდათ.

იმ ხანებში მოწამებრივი ღვაწლით იდიდა არაბი ჭაბუკი აბო, წარმოშობით — ბალდადიდან. იგი ქართლის ერისთავს, ნერსეს ჩამოჰყვა საქართველოში. საქართველო მუსლიმანების ძალაუფლებაში იყო, როგორც მოციქულთა ეპოქაში იუდეა — რომის მფლობელობაში. თბილისის ციხესიმაგრეებში არაბთა გარნიზონები იდგა. ტაძრების გვერდით მეჩეთები და მინარეთები აზიდულიყვნენ; სიონის ტაძრის მახლობლად ამირას სასახლე მდებარეობდა. მძლავრ ხელისუფალს შეეძლო ჩამოეგდო და დაენიშნა, გაესამართლებინა და გადაესახლებინა ქართველი ერისთავები. ქრისტიანები დიდძალ ხარკს იხდიდნენ, თითქოს სიცოცხლის უფლებას ყიდულობდნენ. ბევრი მთავარი და წარჩინებული იღებდა ისლამს, რათა ხალიფატში მა-

ღალი თანამდებობა მიეღო, უბრალო ხალხი კი – იმისათვის, რომ არაბთა თავნებობის, ძალადობისა და თარეშისგან დაეცვა თავი. თბილისელებს, რომლებიც ისლამს მიიღებდნენ, არაბების თანასწორი უფლებები ენიჭებოდათ. და ასეთ ვითარებაში არაბმა ჭაბუკმა აბომ ქრისტიანობა მიიღო, რაც მას უქადდა ერთადერთ ჯილდოს – ქრისტესთვის მოწამეობას. იგი ხაზარეთში მოინათლა, შემდეგ აფხაზეთის მთებში განმარტოვდა ლოცვისათვის, უდაბნოს მდუმარებაში თავს იდო მარხვა, საღმრთო მადლით განიმტკიცა სული – აბჯარ-საჭურველი შეიმოსა ბრძოლისთვის გამზადებული მეომარივით – და თბილისში დაბრუნდა, რათა თანამემამულეებისთვის – არაბებისთვის სახარება ექადაგა.

საეკლესიო მსახურების შემდეგ აბო ყოველდღე მიდიოდა არაბულ უბნებსა და სამხედრო ყაზარმებში; სახარებას კითხულობდა და ხალხს ქრისტეზე ესაუბრებოდა.

შარიათის კანონით, მუსლიმანი, რომელიც სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. ამიტომ აბო ყოველდღე ისე მიდიოდა საქადაგებლად, როგორც მიდიან აშკარა სიკვდილზე. ის ყოველ ღამე მოელოდა, რომ გაიგონებდა გუშაგის ნაბიჯების ხმას; ის ბორკილს გაუყრიდა აბოს, დაკითხვაზე წაიყვანდა სასამართლოში, შემდეგ კი ჩაამწყვდევდა დილეგში, საიდანაც მხოლოდ ერთი გზა მიემართება – სიკვდილით დასჯის ადგილისაკენ. გეგონებოდათ, აბო თვითონვე ეძებდა სიკვდილს ისევე მოსწრაფებით, როგორც ამა სოფლისაგანნი ეძებენ პატივსა და სიამოვნებას. სამ წელიწადს უქადაგებდა აბო თბილისელ მუსლიმანებს, საღმრთო მადლის მიერ დაცული ყადიებისა და იმამების თვალისგან. ჯერ მარტო ეს იყო სასწაული. სამ წელიწადს ქადაგებდა მაცხოვარი; სამ წელიწადს ქადაგებდა მისი მონა. უფალი იესო ქრისტე თავის-

მა მოწაფემ გასცა, აბო თბილელი – თავისმა თანამემამულე-ებმა. საპყრობილეში ღამღამობით ტუსადი აბო ზეპირად გა-ლობდა დავითის ფსალმუნებს, თითქოს დაკრძალვის საგალობ-ლებს წართქვამდა თავისივე თავისთვის. უფლის ნათლისღების დღესასწაულზე აბო მოწამის ნათლისღებით მონათლა – თავის სისხლში იღო ნათელი. მოწამის ნეშტი ქრისტიანებს რომ არ წაეღოთ, როგორც სიწმინდე, მისი გვაში მეტეხის კლდის ძირში გადმოიტანეს მდინარის კბოდეზე, შეშა და თივა დააყარეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს. აბოს ძვლები და ფერფლი ცხვრის ტყავში გამოკერეს და მტკვარში ჩაადგეს. მსაჯულები ფიქრობდნენ, რომ მდინარე იქცეოდა წმინდანის სხენების დავიწყების ალაგად და საფლავად, მაგრამ აბოს ნაწილები და მათზე მიბმული ქვა მეტეხის ხიდთან ამოტივიტივდა. ქრისტიანებმა ისინი მალულად აიღეს და მთებში წაიღეს, ჩრდილოეთისკენ.* სამი ღამის განმავლობაში მოტყინარე ვარსკვლავი და უზარმაზარი კელაპტრის ალის მსგავსი ცეცხლის სვეტი ადგა ხიდს, რომლის ქვეშაც ჩაყარეს აბოს პატივცემული ძვლები. გვირგვინის მსგავსი ვარსკვლავები ხან მალლა ბრწყინავდნენ, ქალაქის თავზე, ხან მდინარის ტალღებთან ეშვებოდნენ.

აბოს გვამის დაწვის ადგილზე სამლოცველო ააშენეს. წმინდა აბო ძველთაგან ითვლებოდა თბილისის მფარველად და მცველად, როგორც დიმიტრი – თესალონიკის მფარველ წმინდანად. მის სამლოცველოში იხდიდნენ პარაკლისებს, როცა ქალაქს მტრის შემოსევის, შინაომის, შიმშილობის, ეპიდემიის საფრთხე ემუქრებოდა. აბოს სახელობის ეგვტერი ახალმა ვანდალებმა დაარბიეს მეოცე საუკუნეში და საფუძვლამდე დაარღვიეს, გეგონებოდათ, ამირას სამსჯავროს ხელახლა მოწვევა

* ამას გვაუწყებს ზეპირი გადმოცემა.

სურდათ აბოზე. წმინდა აბოს სასწაულთმოქმედი ხატი, რომლის წინაშეც ეგვიპტურში პარაკლისებს იხდიდნენ, ახლა მეტეხშია დაცული წმინდა შუშანიკის საფლავთან. თითქოს წმინდა შუშანიკმა თავშესაფარი მიუჩინა თავის სულიერ ძმას.



საქართველოს ეკლესიამ წმინდანთა დასს მიაკუთვნა ორი ძმა, მოწამეები: ისააკი და იოსები. ძმები ქალაქ კარნუში ცხოვრობდნენ. მათი დედა ქართველი იყო, ქრისტიანი, მამა – არაბი, მუსლიმანი. თუმცა საეკლესიო კანონებით ქრისტიანებისა და სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა შეუღლება აკრძალული იყო, მაგრამ დაპყრობილი ქვეყნის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო – ხალხი დაუცველი რჩებოდა, და მეფის ასულებსაც, ბაგრატიონებსაც კი არცთუ იშვიათად მიათხოვებდნენ ხოლმე მუსლიმან თავადებსა და ამირებს, რათა მოკავშირეები ეპოვათ მათი სახით, ან თავდასხმა აერიდებინათ. ამისათვის საკმარის პირობად ითვლებოდა შეთანხმება: ქალისთვის მუსლიმანობის მიღება არ უნდა აეძულებინათ, მაგრამ შერეული ქორწინების შედეგად ნაშობი ბავშვები მუსლიმანებად ითვლებოდნენ. არაბები ხშირად იტაცებდნენ ქართველ ქალიშვილებს, ზოგჯერ კი ქორწინება ორივე მხარის შეთანხმებით, სიყვარულის საფუძველზე შედეგობდა ხოლმე. არაბები, რომლებმაც ბიზანტიას სირია და ეგვიპტე მოსწყვიტეს, ელინისტური ფილოსოფიისა და მეცნიერების უზარმაზარ არსენალს ფლობდნენ. ხალიფატის წარმოქმნიდან ორი საუკუნის შემდეგ თავიანთი კულტურით არაბები ევროპელებზე მაღლა იდგნენ. იმ დროს არაბისათვის სიტყვა „ფრანკი“ ბარბაროსის სინონიმი

იყო. თუმცა ყურანის თანახმად, მრავალცოლიანობა დაშვებული იყო, ბევრმა არაბმა შეინარჩუნა ძველი ჩვეულება და მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა.

ასეთ ოჯახში იზრდებოდნენ ისააკი და იოსები. მათი დედა შვილებს ფარულად ასწავლიდა ქრისტიანობას. მათი მამა დარწმუნებული იყო, რომ შვილები მუსლიმანები ჰყავდა და არაბეთის ჯარში სამსახურისთვის ამზადებდა მათ. ჭაბუკობის ასაკს რომ მიაღწიეს, ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით ძმებმა გადაწყვიტეს, მალულად გადასულიყვნენ ბიზანტიაში და იმპერატორ ნიკიფორეს სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მათი ზრახვების შესახებ ხელისუფლებმა შეიტყვეს. ძმებს დაკითხვა და სასამართლო მოუწყვეს ამირას კარზე. შარიათის კანონით, მუსლიმანი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო, ხალიფას ძეც რომ ყოფილიყო. მოსამართლეებმა ძმები დაკითხეს: რატომ უნდოდათ წასვლა ბიზანტიაში, იმპერატორ ნიკიფორესთან – ხალიფატის მტერთან, რომელმაც თავისი მეფობა არაბებთან დაუცხრომელ ბრძოლაში გაატარა. ისააკმა და იოსებმა მიუგეს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ და ამიტომ გადაწყვიტეს მართლმადიდებელი ხელმწიფის ქვეშევრდომობის მიღება. ამ პასუხმა ანაზდეული ქუხილივით შეაძრწუნა მსაჯულები. ისინი გაშემდნენ და ენაჩავარდნილები, გარეტიანებულებივით უყურებდნენ ძმებს, როგორც საფლავიდან წამომდგარ აჩრდილებს. სასამართლოს ესწრებოდა ისააკისა და იოსების მამა – ერთი არაბ მთავართაგანი, კაცი გავლენიანი და პატივცემული მთელ კარნუ-ქალაქში. მან თავისი ყურით გაიგონა, რომ მისმა შვილებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავიანთ თავს. მამამ თავისი ჭადარა უჩვენა, ეხვეწა, ევედრა მათ, რათა თავი ეხსნათ წამებისა და სიკვდილისაგან, მათი მამა კი – შერცხვენისგან,

60

და მუსლიმანობა ელიარებინათ. ის შვილებს კი არ ემუქრებოდა, არამედ ბავშვივით ტიროდა და ვევედრებოდა მათ, როგორც მონა – თავის ბატონებს. ძმებისთვის ეს უხილავი ტანჯვა იყო, უფრო საშინელი, ვიდრე რკინით წამება. მამის სიყვარული და სიბრალული გულს უგლეჯდა ძმებს, მაგრამ მათში ქრისტეს სიყვარულმა იმძლავრა. ისააკმა და იოსებმა გაიმეორეს, რომ ისინი ბერძნების მსტოვრები არ არიან, არამედ – ქრისტიანები; და ბიზანტიაში წასვლა სურთ, რათა იქ თავისუფლად აღიარონ სარწმუნოება, შესისხლხორცებული დედის რძესთან ერთად.

მსაჯულთა შორის იყვნენ წმინდანების მამის ნათესავეები და მეგობრები... ისინი ძმებს არწმუნებდნენ, ელიარებინათ მუსლიმანობა. მათ საალერსო სახელებით მიმართავდნენ, იხსენებდნენ, როგორ ატარებდნენ ხელით პატარობისას; ვევედრებოდნენ, მწუხარებისაგან მკვდარი მათი მამა ადრე არ დაესამარებინათ. მაგრამ ძმები უდრეკნი იყვნენ. მოწამეებს საღმრთო მაღლი განამტკიცებს ღვაწლისათვის და მათ წინაშე სულიერ სამყაროს განაცხადებს. ძმებმა სულიერი მზერით იხილეს, რომ მსაჯულებთან ერთად დემონები სხედან დარბაზში, რომ მათი მამის სახეზე მდინარი ცრემლი სისხლში განზავებული ჭვარტლის მსგავსია; მისი ვედრება ჩაესმით გველის სიმღერად, ეშმაკის მომაცდუნებელ სიტყვებად, რომელსაც წმინდანების ქრისტესგან განშორება სურს და შავბნელი უფსკრულისკენ იზიდავს მათ.

მუსლიმანების ბრბომ ალყა შემოარტყა სასამართლოს და ხმამაღლა ითხოვდა ისააკისა და იაკობის მოკვდინებას. მოსამართლეები თვითონ აღმოჩნდნენ მძევლების როლში, რომლებსაც ბრბო ანგარიშს გაუსწორებდა. მოხეტიალე დერვიშებმა ქალაქში ხმა გაავრცელეს, რომ ყადი ბერძნების მიერ იყო მოსყიდული. ეს ხმები მალე ხანძრად დანთებას უქადდნენ მსაჯუ-

ლებს, რომლებმაც სურვილის წინააღმდეგ, ხელი მოაწერეს სასიკვდილო განაჩენზე, როგორც საკუთარი უძლურების დამოწმებაზე; ცდილობდნენ, ძმებისთვის თვალი აერიდებინათ. ისაკმა და იოსებმა სიხარულით მიიღეს განაჩენი — ახლა თვითონ მსაჯულები და ნათესავები გაამგზავრებდნენ მათ შორ გზაზე — არა ბიზანტიაში, იმპერატორთან, არამედ — ზეცათა მეუფის სასუფეველში.

ღამით სიკვდილით დასჯილი ძმების გვამებს ტაძრის სვეტის მსგავსი ნათელი დაადგა. ნათესავებმა მათი სხეულების წაღება და მუსლიმანთა სასაფლაოზე დაკრძალვა ვერ გაბედეს. გვამები ქოფაკების საჯიჯვნად დაყარეს, რომლებიც ხროვა-ხროვა დაძრწოდნენ ქალაქში ღამლამობით. მაგრამ ქრისტიანებმა მალულად აიღეს მოწამეთა წმინდა ნაწილები და ქალაქგარეთ დაასაფლავეს. შემდგომში მათ საფლავებზე წმინდა სამების სახელობის ტაძარი ააგეს.



მეცხრე საუკუნეში საქართველოში ცხოვრობდა ღირსი ილარიონი, რომელმაც ძველი მამების დარად შეიმოსა ღვაწლი. ის ისე უხვად დაჯილდოვდა ნიჭებით, რომ ეკლესიამ მას იგივე სახელი უწოდა, რაც წმინდა ნიკოლოზს — საკვირველმოქმედი. იგი დიდებულ მთავართა საგვარეულოდან იყო წარმოშობით. მაგრამ უკვე ყმაწვილობის ასაკში თქვა უარი თავის მამულზე — ანტონი დიდისა და არსენი დიდის მსგავსად; მწირივით მივიდა გარეჯის ლავრაში და გლახაკივით ცხოვრობდა მღვიმე სენაკში, მეორე სამოსელიც კი არ ჰქონდა. როგორც მადნის მთხრელები თხრიან მიწას იმ ადგილზე, სადაც ოქროვანი ძარღვია ჩაწოლილი — ძვირფასი ლითონის მარცვლების საპოვნელად

ნელად, – ისე გარეჯის ლავრა იყო აჭრელებული მონაზვნების ხელით გამოთხრილი ქვაბურებით. აქ ისინი ზეციურ საუნჯეს – სულიწმიდის მადლს ეძებდნენ დღედაღამ დაუცადებელ ლოცვაში. როგორც ჭია იმწყვდევს თავს პარკში, თითქოს თავისი ნებით იკეტება ციხეში, და იქიდან სხვა არსება – ყვავილის ფურცლების სადარი ფრთიანი პეპელა გამოდის, ისე ადამიანის სულს ესხმება ფრთები დაყუდებისას და მღვიმის წყვიდადში ზეცის ნათელს ჭვრეტს.

ილარიონს, ისევე, როგორც აბრაამს, უფლის ხმამ უბრძანა უცხო მიწაზე წასვლა. მან დატოვა გარეჯის სავანე, როგორც მშობლიური სახლი, და შორ გზას გაუდგა; თან არაფერი წაუღია, უფლის სახელის გარდა. როგორც ფუტკარი აგროვებს თავფლს ყველა ყვავილისგან, ისე ილარიონი იხვეჭდა მადლს პალესტინისა და რომის, სინასა და ელადის სიწმინდეების წინაშე. იგი სახარებას უქადაგებდა არა წარმართებს, არამედ ქრისტიანებს, რომელთაც ქრისტე დაევიწყებინათ; ქადაგებდა არა სიტყვით, არამედ საღმრთო ძალის გამოვლინებებით. იგი მოწყალებას უყოფდა უბედურ და ავადმყოფ ადამიანებს, ოღონდ არა ოქროთი, არამედ სასწაულქმედებისა და კურნების ნიჭით.

წმინდა ილარიონმა თავისი ცხოვრების გზა თესალონიკში დაასრულა, დიდმოწამე დიმიტრის ქალაქში, ბიზანტიისა და ბარბაროსი ხალხების საზღვარზე. ბიზანტია ქრისტიანობის ბურჯს ჰგავდა, ბარბაროსების სამყარო კი – აზვირთებულ ზღვას, რომლის ტალღებიც ხან გრუხუნით ატყდებოდა ნაპირებს, ხან კი ზღვას უბრუნდებოდა. როდესაც იმპერატორმა წმინდა ილარიონის ნაწილების კონსტანტინეპოლში აღმოყვანება მოისურვა, თესალონიკელები წინ აღუდგნენ მას. მათ პატრიარქს უთხრეს, რომ კონსტანტინეპოლი მოზღუდულია მტკიცე გალავნით, კლდეებივით აღმართული სალი კედლებით, თე-

სალონიკის საცო და ზღუდე კი წმინდანების – დიმიტრისა და ილარიონის ლოცვაა.

ერთმა მონაზონმა იხილა ჩვენება: ცეცხლის ალი ბუყბუყითა და გუგუნით ამოვარდა ჯოჯოხეთიდან, თითქოს ვულკანის ყელიდან ამოიფრქვა. მონაზონს ხმა ჩაესმა: „ეს ალი ბასილი კეისარმა დაანთო თავისი ცოდვებით“. ვერავინ შეძლო არათუ ჩაქრობა მისი, არამედ მასთან ახლოს მისვლაც კი ვერავინ გაბედა. და აი, მონაზონი ხედავს ანგელოზს შემსგავსებულ ბერს, რომელიც ღვთის მიმართ ლოცულობს. ალი თანდათანობით იშრიტება, შემდეგ კი ქრება. საკვირველ ბერში მონაზონმა ღირსი ილარიონი შეიცნო. მან ჩვენება უამბო ბასილი კეისარს, რომელსაც სამხედრო გმრობების გამო ალექსანდრე მაკედონელს ადარებდნენ, ხოლო სისასტიკისთვის – ელ-გარუნს. კეისარმა ბრძანა, მისთვის სენაკი აეშენებინათ ილარიონის საფლავთან, და ხშირად განმარტოვებოდა ხოლმე ლოცვისთვის ამ სენაკში, როგორც მისი მტრებისთვის შეუვალ ციხესიმაგრეში.

წმინდა გიორგის ხსენების დღეს ეკლესია ადიდებს წმინდა მოწამე კონსტანტინე მთავარს, ბავშვობიდანვე გამორჩეულს მკაცრი კეთილმსახურებით. ჩვეულებრივ, მთავრები თავიანთ საგვარეულო მამულებში ყველაზე ბოლოს შედიოდნენ ტაძარში ღვთისმსახურებაზე დასასწრებად თავიანთი ამალით, მათ მისვლას ელოდნენ მღვდელი და ხალხი. ხოლო წმინდა კონსტანტინე, ისევე, როგორც წმინდა ნიკოლოზი, პირველი შედიოდა ეკლესიაში თავის შვილებთან ერთად წირვის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, და ყველაზე ბოლოს გამოდიოდა ტაძრიდან. მისი სახლის კარი ღია იყო გლახაკებისთვის, მწირებისთვის – როგორც ყველაზე საპატიო სტუმრებისათვის. ის არა მარტო აპურებდა გლახაკებს, არამედ ტრაპეზზე ემსახურებდა

რებოდა მათ ფილარეტ მოწყალესავით, და მასთან მისულ მწი-
რებს ფეხებს ჰბანდა აბრაამივით. მის სუფრასთან მუდამ ის-
ხდნენ მღვდლები, მონაზვნები, და სულის ცხონებაზე საუბ-
რობდნენ.

წმინდა კონსტანტინე ხშირად მიდიოდა შორეული წმინდა
ადგილების მოსალოცად, ძვირფასი შესაწირავით დატვირთუ-
ლი; წმინდა ადგილებიდან კი ყველაზე დიდი საუნჯე – მო-
ნასტრებისა და საგანების კურთხევა მოჰქონდა იმ დიდვაჭა-
რივით, რომელსაც განძით დატვირთული ქარავნები მოჰყავს
უცხო ქვეყნებიდან.

კონსტანტინე მთავარი ზრუნავდა ტაძრების შემკულობაზე,
ნანგრევებისგან აღადგენდა ეკლესიებს; ხატებს, ჭურჭელსა და
შესამოსელს სწირავდა ტაძრებს; ახსოვდა, რომ ტაძარი არის
სახე ედემისა და ადგილი ღვთის განცხადებისა. იგი შესაწირავს
გზავნიდა უფლის საფლავზე, ისევე, როგორც ძველი მართლები
გამოყოფდნენ თავიანთი ქონების ნაწილს იერუსალიმის ტაძ-
რისთვის. იგი წყალობას ისე გასცემდა გლახაკებისთვის, რო-
გორც ხარკს უხდიან ბატონებს. თავისი გული მან უფლის ტაძ-
რად აქცია, რომელშიც მოუკლებლად აღუვლენდა უფალს
ლოცვას. კონსტანტინე მთავარი ჭვრეტდა ზეციური იერუსა-
ლიმის იმ საიდუმლო მშვენიერებას, რომლის წინაშეც მზის
მუქი ბინდივით მოჩანს.

არაბებთან ბრძოლის დროს წმინდანი ტყვედ ჩავარდა და
ის ბაბილონში გაგზავნეს განსასჯელად. მან იქ ისლამის მი-
ღებაზე უარი თქვა, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. მას მიე-
ნიჭა უდიდესი პატივი – შესვა ტანჯვა-წამების ის სასმელი,
რომელიც ქრისტე მაცხოვარმა შესვა. კონსტანტინე მთავრის
მოჭრილი თავი გრძელ ლატანზე მიამაგრეს და ქალაქის ზღუ-
დის თავზე აწიეს, როგორც სამხედრო ალაფი – ისლამის

მტრების შესაძრწუნებლად. მაგრამ მოჭრილმა თავმა სხივთა შარავანდედი შეიმოსა და სარწმუნოების ძლევაშემოსილი ბა-
ირალივით გაბრწყინდა ქალაქის თავზე.



საქართველოს ეკლესია ადიდებს წმინდა მთავარს — გობ-
რონს, ქრისტესთვის წამებულს მეათე საუკუნეში. ეს იყო საუ-
კუნე, როცა დროს ითვლიდნენ არა წლების, არამედ არაბთა
შემოსევების მიხედვით. გობრონს „ახოვანი“ (მამაცი) ეწოდა.
იგია ნიმუში ქართველი რაინდისა, და ბევრი რამით ჰგავს იმ
სახეს, რომელსაც ევროპაში „უშიშარ და უბიწო რაინდს“
უწოდებდნენ. გობრონი თავის საგვარეულო ციხე-სიმაგრეს
იცავდა ტაო-კლარჯეთში, როგორც ოდესღაც სპარტელი მე-
ფე ლეონიდე და მისი მეომრების რაზმი ვიწრო ბილიკზე ულო-
ბავდნენ გზას სპარსეთის ლაშქარს. ალყა დიდხანს გრძელდე-
ბოდა. გეგონებოდათ, უმაღლ ქვის კოშკები ჩამოიშლებოდა ტა-
რანების დარტყმებისაგან, ვიდრე გობრონის მეზრძოლები ჩაჰ-
ბარდებოდნენ მტერს. ცეცხლმოკიდებული ისრები და კლდეე-
ბის ნამსხვრევები სეტყვასავით ცვიოდა ალყაშემორტყმულ ცი-
ხესიმაგრეზე. შავი კვამლი დრაკონის სხეულივით მიიკლაკნე-
ბოდა ციხის თავზე. მეომრები ერთიმეორის მიყოლებით ცვი-
ოდნენ კედლებიდან ცეცხლში და შუბების წვერებზე. ციხის ბჭე
ჩამოიქცა. არაბები ციხის ეზოში შეიჭრნენ. ბრძოლა ყოველ
კოშკში გრძელდებოდა. გობრონი ციხეს იცავდა, როგორც დაჭ-
რილი, სისხლდათხეული არწივი იცავს თავის ბუდეს. ცოცხლე-
ბი გადარჩნენ მხოლოდ გობრონი და მისი ას ოცდაცამეტი მხე-

დარი, რომლებსაც მოუძღურებისგან და ჭრილობებისაგან მახვილები უცვიოდათ ხელებიდან.

ამირამ გობრონს ისლამის მიღება მოსთხოვა, რისთვისაც სიცოცხლის შენარჩუნებას, საგვარეულო მამულების დაბრუნებასა და არაბეთის ჯარში სარდლად დანიშვნას დაჰპირდა. გობრონმა და მისმა მხედრებმა ყოველივე ამას სიკვდილი ამჯობინეს. გობრონის დასაშინებლად ამირამ ბრძანა, ტყვეები მის თვალწინ დაეხოცათ. წმინდანს მათი სისხლი ეშხეფებოდა. უკანასკნელი მხედარი რომ მოკლეს, ამირამ ხელახლა ჰკითხა გობრონს, თანახმა იყო თუ არა ისლამის მიღებაზე — ახლა უკვე აღარავინ იქნებოდა მისი განდგომის ცოცხალი მოწმე. გობრონი უძრავად იდგა ქანდაკებასავით და თვალები ზეცისკენ აღეპყრო. გეგონებოდათ, არც იარაღის ჟღარუნი ესმოდა, ვერც სისხლსა და გვამების ბორცვებს ხედავდა და, ლოცვის სულით აღტყინებული, ძე ღმრთისას და მის ანგელოზებს ჭვრეტდა, როგორც სტეფანე მოციქული ჭვრეტდა უფალს სიკვდილის წინ. ჯალათმა გობრონს მახვილი უგმირა; მან თითები საკუთარ სისხლში ჩააწო და შუბლზე ჯვარი გამოისახა. ჯვარი ელვასავით გაბრწყინდა თვალისმომჭრელი ნათებით. მესამე დარტყმის შემდეგ მოწამის უსულო გვამი ცულით მოკვეთილ მუხასავით წაიქცა მიწაზე. გობრონი დახოცილ მხედრებთან ერთად დაიმარხა საერთო სამარეში ციხის ეზოში, თავისი წინაპრების საძვალეთა გვერდით.



ქრისტეს შობიდან პირველი ათასწლეული სრულდებოდა. დრო ციკლურია. ყოველი ციკლი შეიცავს შემდგომი ისტორიის ელემენტებს. ამიტომ საუკუნის, მეტადრე კი ათასწლეულის

დასასრული ესქატოლოგიურია; მას აპოკალიფსის ბეჭედი აზის და მომავალი მსოფლიო კატასტროფების ანაშუქით არის განათებული. ამ დროს ადამიანები გარდაუვალი გამოუცნობი უბედურებების მოლოდინში არიან, თვით ჰაერიც თითქოს განგამის ტალღებით არის გაჟღენთილი. ვარსკვლავიანი ზეცაც კი, რომელიც ადამიანს ღვთაების დიდებულებასა და უსაზღვროებას უცხადებს, საიდუმლო ნიშნებიან პერგამენტად მოჩანს, მსგავსად ბაბილონის სასახლეში კედელზე უეცრად დაწერილი წარწერისა ბალთასარის ნადიმის დროს. ორი ათასწლეულის გასაყარზე ესქატოლოგიური უბედურებების აჩრდილებმა დაფარეს დედამიწა, როგორც მთვარის ჩრდილი ფარავს მიწას მზის დაბნელების დროს.

იმ ხანებში უფალმა საქართველოს და მთელ მსოფლიოს მომადლა უდიდესი წმინდანები, ათონზე გაბრწყინებულნი: იოანე, გაბრიელ, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ათონის მთა ყველა სხვა ქვეყნისგან განსხვავებული სახელმწიფოა; მასში ცხოვრობენ მონაზვნები – განსაკუთრებული ხალხი, რომელიც დანარჩენ ხალხებსა და ტომებს არ ჰგავს. ამ ქვეყანაში ლავრები ლაჟვარდისფერი ზღვის სანაპიროზე აზიდული სასახლეებივით დგანან; მონასტრები – მთის კალთებზე აშენებული ციხედარბაზებივით; სკიტეები და სენაკები – ციხესიმაგრის კოშკებივით. ათონის მთა, რომელიც კუნძულივით არის წაწეული ზღვაში, ზეცისკენ მცურავ ხომალდს ჰგავს. ათონი, დედა ღვთისმშობლის წილხვედრი, ხელთუქმნელი ტაძარია; იგია მართლმადიდებლობის გოდოლი და სახე ზეციური იერუსალიმისა დედამიწაზე.

პატიოსანი თვლებივით ბრწყინავენ ზეციურ იერუსალიმში ოთხი ბერის – იოანეს, გაბრიელის, ექვთიმესა და გიორგის სახელები. ღირსმა იოანემ, ერობაში ტაო-კლარჯელმა მთავარ-

მა, ივერთა მონასტერი ააშენა და წმინდა მთაზე მოღვაწე ქართველი მონაზვნები შემოიკრიბა, როგორც მწყემსი იკრებს ვერძებს კრავების ეზოში.

ერთხელ, დიდმარხვაში, მონაზვნებმა იხილეს ზღვიდან მომავალი საკვირველი ნათელი; ის ღამით ბრწყინავდა და დღის სინათლეზე არ იშრიტებოდა. ნათელი იფრქვეოდა ხატისგან, რომელიც ქვის კანკელში ჩასმულივით იდგა ტალღებზე. მონაზვნებმა ნავები ჩაუშვეს წყალში; ზოგი მათგანი წყალში გადახტა და ხატისკენ გაცურა. მაგრამ ხატი განეშორა მათ და მონაზვნებმა ჰორიზონტზე, ზღვისა და ცის საზღვარზე იხილეს მისი ნათელი. ათონის ყველა მონაზონი შეიკრიბა ზღვასთან, გეგონებოდათ, მტრედების გუნდმა დაფარა მისი სანაპირო. მონაზვნები პარაკლისებს აღუვლენდნენ ზეცის დედოფალს, მონასტრებში დაუძინებელი ფსალმუნნი იკითხებოდა.

დადგა ვნების შვიდეული. ძაძით შეიმოსა მთელი ათონი. სინანულის ღვაწლს შეუდგნენ მონაზვნები. ყველა ინანიებდა თავის ცოდვებს – ათეული წლების მანძილზე დაყუდებული სქემოსნებითა და მონასტრების ილუმენებით დაწყებული, და სოფლიდან ახლად გამოსული მორჩილებით დამთავრებული. მათ იცოდნენ, რომ სინანულის ცრემლით განუბანელი ცოდვები კედელივით არიან აღმართული ზეცასა და დედამიწას შორის, და ზეცის დედოფლისკენ სავალ გზას ღობავენ. დადგა აღდგომის დღე. ქალწული მარიამი გამოეცხადა ღირს იოანეს და უთხრა, რომ ერთადერთ მონაზონს – გაბრიელ ქართველს შესწევს ძალა ხატთან მიახლებისა და მისი წყლიდან გამოსვენებისა. გაბრიელი ძველი მძოვრების ღვაწლს ტვირთულობდა. იგი ხშირად ტოვებდა თავის სენაკს, დაეხეტებოდა კლდეებზე და ტყეთა ტევრნარში, სადაც ხორციელი კაცი იშვიათად დადგამდა ფეხს, და დღედაღამ ჰიმნებს უგალობდა ღმერთს. მისი საკვები იყო

სეების ნაყოფები, ბალახების ფესვები და ის, რასაც მას უწყალობებდნენ ათონის მონასტრებში, როგორც გლახაკს. მწირი გაბრიელი ღამეს იქ ათევდა, სადაც სამხრეთის ხანმოკლე მწუხარი უსწრებდა: კლდის ნაპრაღში, ხის ფუღუროში, ან ტოტებისგან დაწულ ქოხში. მას არ გააჩნდა არაფერი, იესო ქრისტეს სახელისა და ყოველივე ამქვეყნიურისგან თავისუფლების გარდა. იგი უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე გადამფრენი ფრინველი, რომელიც თავის დატოვებულ ბუდეს პოულობს. უპოვარი გაბრიელი ისე ხარობდა და ისეთი ბედნიერი იყო, გეგონებოდათ, ყოველივე მას ეკუთვნოდა, როგორც ხელმწიფეს.

ღირსმა იოანემ მონაზვნები გაგზავნა, რათა ტევრები და ხეობები მოეველოთ და მისი სულიერი ძმა მოექებნათ. ღირსმა გაბრიელმა როგორც კი შეიტყო, რომ მას ივერიის მონასტრის ილუმენი ეძებდა, მყისვე გამოცხადდა მონასტერში. მან ილოცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ, ზღვის ტალღებზე დადგა, როგორც პეტრე მოციქული – გალილეის ტბაზე, და ხატისკენ წავიდა; წყალზე ისე ვიდოდა, გეგონებოდათ, გრანიტით მოკირწყლულ ქუჩაზე მიდისო. გაბრიელმა ხატი ხელში აიღო, მალლა აწია და ნაპირზე გამოასვენა. შიშითა და ძრწოლით მოაბრძანებდა იგი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს, ხატის მადლი კი უხილავად აკავებდა მას წყლის უფსკრულს ზევით. მონაზვნებმა ისეთი სიხარულით მიიღეს ხატი, როგორც თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომელმაც ფეხი დადგა ათონის მიწაზე. ხატი მონასტრის სამლოცველოში შეაბრძანეს და კარიბჭის თავზე მოათავსეს დროებით – მანამ, ვიდრე ადგილს უმზადებდნენ ტაძარში, სადაც ის ათონის დედოფალივით უნდა დაბრძანებულიყო ტახტზე.

ხატი ტაძარში გადაიტანეს და საკურთხეველში დააბრძანეს, მაგრამ ქალწულ მარიამის ნებით მეორე დილას ის სავანის კა-

რიბჭის თავზე დაკიდული აღმოჩნდა. ხატი ხელახლა გადასვენეს ტაძარში, მაგრამ სასწაული მომდევნო ღამეებშიც გამეორდა. თვით ზეციერი დედოფლის მიერ შთაგონებული მონაზვნები მას შემდეგ მის ნებას წინ აღარ აღდგომიან, და ხატი თავის ძველ ადგილზე, კარიბჭეზე დარჩა.

არსებობს გადმოცემა, რომ სანამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ათონის ივერთა მონასტერში მყოფობს, ათონი მართლმადიდებლობის წმინდა ნათელს მოჰყვანს ქვეყანას, და ჯოჯოხეთის ძალები ვერ მოერევიან მას. მაგრამ მოვა დრო, და ხატი ისევე საიდუმლოდ გაქრება, როგორც გამოჩნდა. მაშინ მონაზვნებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ ათონის მთა, როგორც იერუსალიმი დატოვეს ქრისტიანებმა ერთ ღამეში, როცა ტიტუსის ჯარი ახალი ალყისთვის ემზადებოდა.

წინათ ათონზე მონაზვნებს ჩვეულებად ჰქონდათ: ყოველ კვირას ყველა მონასტრიდან დესპანები მიდიოდნენ ივერთა სავანის კარიბჭესთან, რათა შეეტყობთ — დგას თუ არა ხატი თავის ძველ ადგილზე; თაყვანს სცემდნენ მას, როგორც წმინდა მთის იღუმენიას, და სასიხარულო ამბავი მიჰქონდათ თავიანთ მონასტრებში: ღვთის დედას ათონი არ დაუტოვებია, წმინდა მთის მართლმადიდებლობის სული ნათელი და უბიწოა, ერესები და ცრუ სწავლებები ვერ შეარყევენ ათონს, როგორც ქარიშხლები — მის კლდეებს.



ღირსი ექვთიმე მთაწმინდელი ღირსი იოანეს შვილი იყო და სულითაც ემსგავსა მამამისს, როდესაც მონაზვნად აღიკვეცა. იოანეს სიკვდილის შემდეგ ექვთიმემ თავადის მემკვიდრეობის

ნაცვლად, ივერთა მონასტერი და უდიდესი წოდება — ილუმენის ხარისხი მიიღო. როგორც შვილი ამრავლებს მშობლების საგანძურს, ისე ექვთიმემ გააფართოვა და გაამშვენა ივერიის მონასტერი.

ის სანიმუშო პიროვნება იყო მონაზვნებისთვის; არც ერთ სატაძრო ღვთისმსახურებას არ აცდენდა და ილუმენის ადგილზე უძრავად იდგა ანთებული სანთელივით. მას რკინის ბექთარი ემოსა ახალგაზრდობიდან სიკვდილის დღემდე, როგორც მებრძოლს — საომარი ჯაგმანი ბრძოლის დროს. ექვთიმეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ჩვენებაში, კვერთხით შეეხო მის ბაგეებს და უბრძანა, ქართულ ენაზე ეთარგმნა წმინდა წერილი. მას შემდეგ ექვთიმეს ბაგეები ოქროვან წყაროდ იქცა და ზეციური ღვინით მორწყო საქართველოს მთელი მიწა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, როცა მონაზვნები თავიანთ სენაკებში მიდიოდნენ და იძინებდნენ, ექვთიმეს კოშკის სარკმლის გამონაშუქი განთიადის მთიებივით დაჰნათოდა ივერთა სავანეს. მაგიდაზე დახრილი ილუმენი წმინდა წერილსა და წმინდა მამათა თხზულებებს თარგმნიდა ქართულ ენაზე. იგი შეიგრძნობდა ბიბლიის ყოველ სიტყვას, როგორც ცოცხალ არსებას, ხედავდა მას მრავალ სულიერ განზომილებაში, ჭვრეტდა მისი კრისტალებისა და წახნაგების ფერსა და ელვარებას. წმინდა წერილის ნათელი მან უქრობი ცეცხლივით ანთო ქართული ენის ლამპარში.



ექვთიმე მთაწმინდლის ღვაწლი ათონის ივერთა მონასტრის ილუმენმა – ღირსმა გიორგიმ გაასრულა. იგი მისტიკოსი და პოეტი იყო. ბიბლიის გიორგი მთაწმინდლისეული თარგმანები ბექასა და ბეშქენის ხატებს ჰგავს, ოქროსა და ვერცხლში ნაჭედს. ღირსი გიორგის საფლავზე არის წარწერა: „დამიმტკიცებოეს სუეტი ტაძრისა, არა შეიძრას უკუნისამდე“.

ღირსი მამები – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები საქართველოს ორი უკანასკნელი მოციქულია, რომელთაც ქართველი ხალხი წმინდა წერილის თარგმანებითა და თავიანთი თხზულებებით განანათლეს. ყოველ ქართულ ტაძარში ღვთისმსახურებაზე ისმის მათი ხმა, წმინდა წერილის სიტყვით მხმობელი. მათ ხმას მოწიწებით მიუპყრობენ ყურს შთამომავალნი მანამ, ვიდრე ზეცა და მიწა არ წარდგებიან საშინელ სამსჯავროზე, მანამ, ვიდრე დედამიწაზე ქართული სიტყვა ითქმება...



ქრისტეს შობიდან მეორე ათასწლეულით საქართველოს ისტორიის ახალი ციკლი დაიწყო. მომავალი უბედურებების აჩრდილები განგაშის ზარებივით ჩამოაწვა დედამიწას. საზოგადოდ, როდესაც ხალხი ომისთვის ემზადება, სასწრაფოდ აშენებს სიმაგრეებს, ქალაქებს ზღუდავს გალავნებით, ხიდებს შეაკეთებს და ორმოებს ასუფთავებს. საქართველოში კი XI საუკუნის დასაწყისში სულიერ ციხესიმაგრეებს აგებდნენ. მათგან პირველი არის სვეტიცხოველი – საქართველოს ეკლესიის გვირგვინი და კონსტანტინეპოლის სოფიის უმცროსი ძმა, ხელით შექმნილი კლდე, რომელიც დროის ტალღებსა და ისტო-

რიის ჩარხს ზევიდან გადმოსცქერის. სვეტიცხოველსა და იერუსალიმის აღდგომის ტაძარს შორის თითქოს ოქროს ჯაჭვია გაბმული. ამავ პერიოდში აგებული სულიერების მეორე ციტადელი ალავერდია – კავკასიონზე აზიდული ტაძარი, თითქოს ზეცისკენ აღფრენას რომ ლამობს და ქვისთვის ფრთები შეუსხამს. იგი ჰგავს სვეტს, რომელსაც ცის ლაჟვარდისფერი თალი უჭირავს. ალავერდი მოკლებულია სამშვენისებს. იგი უბრალოა ასკეტის შესამოსელივით. მისი მკაცრი მშვენიერება უდაბნოდან გამოსული წინასწარმეტყველის შესახედაობას ედრება. მესამე ციხესიმაგრე ქუთაისის ბაგრატის ტაძარია. მისი ორნამენტი და ბარელიეფები ძველი იუველიერების ფილიგრანულ ნამუშევარს ჰგავს, თეთრი ქვით ნაგები მისი ნატიფი კედლები კი – ბისონის სამოსელს. თითქოს სამ ძმას უშენებია ბაგრატის ტაძარი, რომელთაგანაც ერთი იყო ღვთისმეტყველი, მეორე – მისტიკოსი, მესამე – პოეტი.

ის იყო, დასრულდა სულიერების ამ სამი ბურჯის მშენებლობა, და საქართველოს საზღვრებთან სიკვდილის თვალბედითი აჩრდილივით გამოჩნდა ახალი მტერი – თურქ-სელჩუკები. ისინი შემოიჭრნენ საქართველოში, როგორც ატილას დროს ალტაიდან და თურანიდან დასავლეთს შესეული ჰუნები – ნადავლის საძებნელად დაძრწოდნენ და მიწებს იტაცებდნენ. თურქები ყოველ წელიწადს იკლებდნენ საქართველოს. ქალაქები და სოფლები გაუკაცრიელდა. საქართველოს მოსახლეობას თითქოს შავმა ჭირმა გაავლო მუსრი. ნახანძრალეზზე დარჩენილი კერავაცივებული ნამოსახლარები საფლავის პირქუშ ძეგლებს მიმსგავსებოდნენ. სამმა აპოკალიფსურმა მხედარმა – ომმა, შიმშილმა და სიკვდილმა ჩაიქროლა საქართველოში გაშვილებული მახვილებით ხელში. ქვეყანა ჰგავდა ხომალდს, რომელსაც დამსხვრეული ანძა, დაფხრეწილი აფრები ჰქონდა

და ფერდებზე ნახვრეტები გასჩენოდა, საიდანაც გემში წყალი შედიოდა. ხსნა თითქოს არსად ჩანდა. გეგონებოდათ, ქარიშხალი ეს-ესაა, აიტაცებდა გემს და ძლიერად მიანარცხებდა კლდეს.

თურქ-სელჩუკები უფრო საშინელი ხალხი იყო, ვიდრე არაბები. თუკი ბედუინების ჩვეულებების დამცველი არაბები კეთილშობილი ავაზაკები იყვნენ, სელჩუკები არაფრით განსხვავდებოდნენ საფლავების მძარცველებისგან, რომლებიც მზად არიან, მიცვალებულს უკანასკნელი კვართი გააძრონ.



ასეთ ვითარებაში ღმერთმა საქართველოს მომადლა უდიდესი მეფე მის მეფეთა შორის — დავით აღმაშენებელი — „კაცი გულითადი“ (საქმე 13. 22) უფლისა, დავით ფსალმუნთმგალობლის შთამომავალი. ხალხმა მას საქართველოს აღმაშენებელი უწოდა. დილით ადრე, გათენებამდე დგებოდა დავითი სალოცავად — ასე იწყებოდა მისი ყოველი დღე — და გვიან ღამით სრულდებოდა ბიბლიის კითხვით. დავითი ომში რომ მიდიოდა, თან მიჰქონდა საწამებლის კარვის მსგავსი გადასატანი ეკლესია. ის ყოველდღე ესწრებოდა საღმრთო ლიტურგიას და ხშირად ეზიარებოდა. მკერდზე ჯაჭვის პერანგის ზევიდან ეკიდა მთავარანგელოზ მიქაელის ვერცხლის ხატი, რომელმაც არაერთხელ იხსნა მისი სიცოცხლე. დავითი ბრძოლის ველზეც კი არ შორდებოდა სახარებას. მან აგარიანებს თბილისი გამოსტაცა ხელიდან, როგორც მეფე-წინასწარმეტყველმა დავითმა აართვა ხელიდან იერუსალიმი ქანაანელებს. საქართველოს

ეკლესიის ფარულს მან ყალბი ქვეები მოაცილა და ისინი რუ-ისისა და ურბნისის იუველირების* მიერ გამოხარატებული აღმასებით ჩაანაცვლა. მეფე დავითმა დაგვიტოვა თითქოს სის-ხლის ცრემლით დაწერილი „გალობანი სინანულისანი“; თავისი ცხოვრებით გვიჩვენა სინანულის მაგალითი – დატოვა ან-დერძი: მისი ნეშტი დაეკრძალათ გელათის მონასტრის ზღურ-ბლზე, რათა ყველას, ვინც საგანეში შევიდოდა, მის საფლავზე დაედგა ფეხი.

თამარის ხსოვნა კავკასიის მთებზე გალობით თქმული სა-გალობელივით ჟღერს, ხოლო მისი სახელი ცისკრის მთიების ნათლით ბრწყინავს ცაზე. მან მტრები განდევნა

საქართველოს საზღვრებიდან, როგორც არწივი დევნის ყვა-ვების გუნდს. თამარმა სამარტვილეები და საყდრები აღმართა კლდეების მწვერვალებზე – მათი თავები თითქოს გვირგვინე-ბით შეამკო; დაბლობებზე ქვისგან ნაკვეთი ქანდაკებებივით აა-გო ტაძრები, გააშენა მონასტრები, რომლებმაც სულიერი კე-თილსურნელებით აავსეს ქვეყანა. მისი საძვალე უცნობი დარ-ჩა სოფლისათვის, ისევე, როგორც მოსე წინასწარმეტყველის საფლავი. თავის სიცოცხლეში თამარი მთელი საქართველოს დედა და მფარველი იყო და სიკვდილის შემდეგაც ჰყოფს მეო-ხებას სრულიად საქართველოსთვის. მისი გულის ცემა ივერი-ის მიწის ყოველ კუთხეში ისმი.



* იგულისხმება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმინდა მამები – არ-სენ იყალთოელი და სხვები.

ოცი წელი გავიდა თამარის სიკვდილის შემდეგ. გადაიშალა მატინის ფურცელი და სულ სხვა სურათი წარმოჩნდა თვალწინ: მათა იგივე სილუეტები, მდინარეების ისეთივე დინება, მშვიდი და უწყვეტი – დროის ნაკადით. მაგრამ იმ ქალაქების ნაცვლად, რომლებშიც სიცოცხლე დულდა, დარჩა ნანგრევები და ნამოსახლარები, გადაბუგული სოფლები და ქალაქები. ნახანძრალეებზე მგლები ქუჩდებთან და მწუხარედ და მოწყენით მდერიან სიკვდილის სიმდერას. მინდვრებზე ოქროსფერი ფარჩის სადარი ხორბლის თავთავების ნაცვლად სარეველებსა და ნარ-ეკალს გადაუვლია; მიწა გავერანებულა. ეკლესიების ჯვრები დამტვრეულია; შეგინებულ ტაძრებში ღვთისმსახურების ნაცვლად პირუტყვის ბლავილი ისმის საკურთხეველებიდან. მონლოლებს ეკლესიები საჯინბობად უქცევიათ. წმინდა ანდრიას – ქრისტესთვის სალოსის წინასწარმეტყველებისამებრ, განიხვნენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთში აღმართული სპილენძის ბჭენი; ურდოები დაიძრნენ ყარაყუმიდან და ჰიმალაებიდან, დასავლეთს მიაწყდნენ და თავიანთ გზაზე ყოველივე გაანადგურეს.

თამარ მეფე მოკვდა. ასე სხივებმომქრალი მზე ეშვება წყნარად ჰორიზონტს მიღმა. თბილისმა მეფე გამოიგლოვა და სამეფო კარმა დროს ტარებასა და გართობას მისცა თავი, თითქოს სურდა, ბრწყინვალეობით ბაღდადისთვის გადაემეტებინა. გეგონებოდათ, რომ მეფეები და კარისკაცები ქვეყნით თამაშობდნენ, როგორც პატარა ბავშვი ათამაშებს აღმასს – ზევით ისვრის და ჰაერში იჭერს.

თამარ მეფის ერთ-ერთი ცოცხლად დარჩენილი თანამებრძოლი – ახალციხელი მთავარი შალვა – საქართველოს მთავრობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აფრთხილებდა, მაგრამ უშედეგოდ, როგორც ლაოკოონი – ტროელებს. მას თით-

ქოს უკვე ესმოდა მონღოლეთის ჯარის ცხენების თქარათქური, რომელმაც მსოფლიო შეძრა. ასე მიწისქვეშა გრგვინვამ შეძრა პომპეი მაშინ, როცა ვეზუვი ჯერ კიდევ მიძინებული იყო...

მართლაც, საქართველოს საზღვრებთან სიკვდილის აჩრდილივით გამოჩნდა ხორეზმელი უფლისწული ჯალალ-ედ-დინი უზარმაზარი ლაშქრით, როგორც ატილა – რომის კედლებთან. თამარის ძლევამოსილი ხმალი მის მემკვიდრეთა ხელში ოქროსვადიანი, მაგრამ ხის წვერიანი ხმალი გამოდგა. სამაგიეროდ, ლალატის ხანჯალი კვეთდა აუცდენლად. თბილისი დაეცა. მხოლოდ ისნის ციხადელი უწევდა წინააღმდეგობას ხორეზმელებს, მსგავსად მასადის ციხესიმაგრისა, რომაული ლეგიონების შტურმს რომ იგერიებდა ცეცხლმოდებული იერუსალიმის აღის ანაშუქზე.

ჯალალ-ედ-დინმა აიკლო ქვეყანა და კიდევ ერთი გამარჯვების მოპოვება განიზრახა. მან გადაწყვიტა: ან ისლამზე მოექცია თბილისელები, ან სისხლის ბარძიმად ექცია თბილისი. სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვიეს; სახურავზე დადგეს ტახტი, რომელზეც ჯალალ-ედ-დინი დაჯდა. მას თითქოს სურდა, ხელი ცისთვის მიეწვდინა, როგორც ნებროთს, ფეხით კი საქართველოს სიწმინდეები დაეთრგუნა. ტაძრიდან ხატები გამოიტანეს და მეტეხის ხიდზე დააწყვეს. ხორეზმელებმა მახვილები იძრეს და ხიდის მოაჯირთან განლაგდნენ. თბილისელი ქრისტიანები ხიდით მდინარის მეორე ნაპირზე უნდა გადასულიყვნენ რიგებად და, ქრისტესგან განდგომის ნიშნად, გაენერწყვათ ხატებზე, რომელთა წინაშეც ისინი ბავშვობიდან ღოცულობდნენ, მოწიწებით ეამბორებოდნენ მათ და ღვთისგან კურთხევას ითხოვდნენ. ქრისტიანები გადიოდნენ ხიდზე, როგორც მოწამეები – კოლიზეუმის არენაზე, სადაც მათ მშვიერი

მხეცები ეკვეთებოდნენ და მუსრავდნენ. ხორეზმელები მახვილებით ჩეხდნენ ქრისტიანებს და დაჭრილებსა და მკვდრებს ხიდიდან ყრიდნენ. ხატებზე ღვარად ითხოვდა მოწამეთა სისხლი. მდინარე გვამებით აივსო, ისე, რომ ფეხის დაუსველებლად შეიძლებოდა გადასვლა მისი ერთი ნაპირიდან მეორეზე.

მხედართმთავარი შალვა ტყვედ ჩავარდა. ჯალალ-ედ-დინი მას არწმუნებდა, მიელო ისლამი, და ჰპირდებოდა უმეტეს სიმდიდრესა და დიდებას, ვიდრე მას ოდესმე ჰქონია. მაგრამ, როგორც კი უარი მიიღო, მყისვე ბრძანა, შალვა ეწამებინათ და სატუსალოში ჩამეწყვდიათ. ახალციხელი მთავარი მგლის ბუნაგის მსგავს მიწისქვეშეთში ჩააგდეს. მას სცემდნენ, შიმშილით კლავდნენ და ბოლოს თოკით დაახრჩვეს.

ერთ თვეს იმყოფებოდა ჯალალ-ედ-დინი თბილისში; ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა. ჯალალ-ედ-დინმა სისასტიკით ასურეთის მეფეებს გადაამეტა, მოკლული ტყვეების რიცხვს კლდეებზე რომ ამოტვიფრავდნენ ხოლმე – თითქოს ჭკუის სასწავლებლად მომავალი თაობებისთვის. მდინარე მტკვარი წითლად შეიღება მოწამეთა სისხლისგან.



საკვირველი დამთხვევები არსებობს ისტორიაში; ასეთებია: ხვედრი აშოტ კურაპალატისა და ხვედრი დიმიტრი თავდადებულისა. ერთი მათგანი ქვეყანას მართავდა არაბთა შემოსევის შემდეგ, მეორე – მონღოლებთან ომის შემდეგ. ორივემ ნანგრევებიდან და ნახანძრალებიდან აღადგინა საქართველო, როგორც ზორობაბელმა – იერუსალიმი და მისი სიწმინდე – ტა-

ძარი – ბაბილონის ტყვეობის შემდეგ. ორივე მშვიდად ითმენდა მხილებას თავისი სულიერი მოძღვრისგან: აშოტ კურაპალატი – გრიგოლ ხანძთელისგან – წინასწარმეტყველის დარი პიროვნებისგან, ხოლო დიმიტრი თავდადებული – ღირსი პიმენ სალოსისგან, რომელსაც „საქართველოს ეკლესიის ნათანი“ ეწოდა. აშოტ კურაპალატი მოლაღატის ხელმა განგმირა ტაძარში, როგორც წინასწარმეტყველი ზაქარია – ტაძარსა და საკურთხეველს შორის; ხოლო დიმიტრი თავდადებულმა თვით საკუთარი თავი მიუტანა მონღოლებს მსხვერპლად შესაწირად საქართველოსთვის, რათა თავისი სისხლით დაერწყულებინა ისინი, ჩაეხშო მათი მრისხანება – მგლების ხროვის შიმშილის სადარი. ქართველმა ხალხმა მას უმშვენიერესი სახელი – „თავდადებული“ უწოდა.



შაჰ-აბასის სახელს კი წყევით მოიხსენიებენ ამიერკავკასიის ხალხები. მისი ცხოვრების მიზანი საქართველოს მოსპობა ან თათართა სახანოდ გადაქცევა იყო თითქოს, როგორც კატონის ცხოვრების მიზანი იყო კართაგენის მიწასთან გასწორება, მისი ზღუდის საძირკვლის ქვების ამოთხრა და ზღვაში გადაყრა. მრავალი ჭირი ნახა საქართველომ თავისი ისტორიის მანძილზე. ცეცხლთაყვანისმცემლები მკვდრებზეც კი იძიებდნენ შურს: თხრიდნენ საფლავებს, გვამებს ფრინველებსა და მხეცებს უგდებდნენ; მონღოლები ყოველგვარ სიცოცხლეს სპობდნენ ყველგან, სადაც მისწვდებოდნენ; შაჰ-აბასი კი არა მარტო ანგრევდა ქალაქებსა და სოფლებს, არამედ ბრძანებდა: ამოეძირ-

კვით ხეები, დაეჩეხათ ვენახები, მინდვრებზე ნათესები გაეთე-
ლათ და გადაეწვათ; თითქოს სურდა, რომ აყვავებული კახეთი
მკვდარი ზღვის ველად გადაექცია.

შაჰ აბასისთვის ქრისტიანები იყვნენ მტრები, რომელთაც
მან წინასწარ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ამქვეყნად ყველაზე
მეტად შაჰ-აბასს სძულდა ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელ-
მაც მას არაერთხელ სძლია ბრძოლის ველზე და ასპარეზობებ-
ზე: შუბის ტყორცნის ხელოვნებასა და ჯირითში. შაჰს ლო-
დინი შეეძლო. სიძულვილი და შური უდღუდა გულში, რასაც
მეგობრობის ნიღბით ფარავდა, როგორც მკვლელი მალავს ხან-
ჯალს ტანსაცმელში. შაჰ-აბასს სპარსელებმა „აღმოსავლეთის
ლომი“ უწოდეს. მაგრამ უდაბნოებისა და ტყეების მბრძანებე-
ლი საფარიდან არასდროს ესხმის თავს მსხვერპლს უკნიდან.
იგი კეთილშობილურად ეპყრობა მტერსაც კი. შაჰი გველს უფ-
რო ჰგავდა, გზასთან რომ უსაფრდება მოგზაურს, რათა ანაზ-
დად ჩაასოს კბილები სხეულში, მის სისხლში მომაკვდინებელი
შხამი შეუშვას და გაშეშებული ცივი თვალებით უცქიროს, რო-
გორ ვარდება მსხვერპლი აგონიის კრუნჩხვებში და ეწამება.
მაგრამ ტირანი, გველისგან განსხვავებით, სიკვდილს მეტისმე-
ტად მსუბუქ სასჯელად თვლის თავისი მსხვერპლისთვის. მას
სურს, მოწინააღმდეგეს შეურაცხყოფის ჯოჯოხეთი გამოატა-
როს, გატეხოს მისი ნებისყოფა, შესაძაგად აქციოს ხალხის
თვალში. ტირანისთვის უდიდესი გამარჯვებაა დანახვა იმისა,
რომ მისი მტერი კვდება არა გმირივით და მოწამესავით, არა-
მედ — ქოფაკივით. სპარსეთის მეფე საპორმა ტყვედ ჩაიგდო ვა-
ლენტინიანე კეისარი, და კი არ მოკლა იგი, არამედ თავის კარ-
ზე ახალ თანამდებობაზე დანიშნა: დღესასწაულებზე კეისარი
მუხლებზე უნდა დამხოზილიყო და თავი მოედრიკა, საპორი კი

მის კისერზე აბიჯებდა თავისი ჩექმით, როგორც კვარცხლბეკზე, და ცხენზე ჯდებოდა.

შაჰ-აბასმა ფლიდობით მიიტყუა მეფე ლუარსაბი თავის ბანაკში, როგორც ფრინველებზე მონადირე იტყუებს ბადეში შევარდენს სალამურზე დაკვრით. ლუარსაბი შაჰ-აბასის ტყვეობაში აღმოჩნდა. შაჰმა იცოდა, რომ ვერავითარი წამებით ვერ აიძულებდა ლუარსაბს ქრისტესგან განდგომას, ამიტომ გადაწყვიტა, მისი სული თანდათანობით გაეტეხა, ისევე, როგორც ალყაშემორტყმულ ციხეს იღებენ თანდათანობით.

მცირე ცოდვები ჰგავს პატარა ნახვრეტებს გემის ფერდებზე; ისინი ფართოვდებიან წყლის დაწნევით; ხომალდი მოუძლურებული მცურავივით იგუდება თითქოს და ფსკერისკენ ეშვება, როგორც საფლავის სიღრმეში. ცოდვები ქრისტიანს მადლისგან განაშორებენ, ადამიანი რჩება დაუცველი, როგორც სამსონი მოკვეცილი თმებით, რომლებშიც მისი გოლიათური ძალის საიდუმლო იყო დაფარული.

ნადიმის დროს შაჰი ლუარსაბს დაუინებით სთხოვდა, მარხვა გაეტეხა მისი პატივისცემით. ლუარსაბი მიხვდა, რომ მისი გამასხარავება, მისი დალაჩრება სურდათ, რომ ეს დასასრულის დასაწყისი იყო, და ყოველივე ამას ისლამის მიღების ბრძანება მოჰყვებოდა. ადგა და კარვიდან გავიდა, რითაც მან, როგორც მერვე მაკაბელმა, თავი წამებისა და სიკვდილისათვის გაწირა მამათა სჯულის დაცვისათვის. შვიდმა ძმამ, მაკაბელმა მოწამებმა, ერთბაშად შესვეს წამების ცეცხლის სასმელი; „ივერიელი მაკაბელი“ კი ამ ბარძიმს სვამდა მრავალი წლის განმავლობაში, რომელთა სათვალავიც აერია მას აკლდამის მაგვარ საპყრობილეში ჯდომისას.



ხმლის პირი ჭრის, ლახვარი გმირავს, ცეცხლი წვავს... წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი კი ყოველგვარი სატანჯველით ტანჯეს. მისი სხეული გახურებული შანთებით დადაღეს, მკერდი ამოგლიჯეს მარწუხებით, რომლებითაც მჭედელი გავარვარებულ რკინას იღებს ბრძმედიდან; დედოფალი გახურებულ სამსჭვალეზე დააგდეს, მაგრამ მისი სული ცეცხლზე და ფოლადზე უმტკიცესი იყო.

არც კენესა, არც მუდარა არ აღმოხდომია წმინდანს ბაგეებიდან. იგი ჩუმად ლოცულობდა „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და წმიდისა სულისაჲთა“ მანამ, ვიდრე წამებისგან ღონე არ მიეხადა და მხოლოდ მისი სისხლიღა ჩუხჩუხებდა გავარვარებულ რკინაზე. ქართველი ხალხისთვის ქეთევანის სახელი სიმამაცის სიმბოლოდ იქცა, საბრძოლო ბაირადივით.



ერთხელ, აღდგომის ღამეს, სპარსელებმა მოციმციმე ცეცხლები დაინახეს გარეჯის მთებში. გაოცდა შაჰ-აბასი: ნუთუ კიდევ გადარჩა ვინმე ცოცხალი იქ, სადაც მისმა ჯარმა გაიარა! — ასევე საკვირველი იქნებოდა, წაუხდენლად რომ გადარჩენილიყვნენ ყვავილები მინდორზე, რომელსაც ურიცხვი კალია შეესია. შაჰ-აბასს უთხრეს, რომ მონაზვნები ლიტანიობდნენ ლავრის გარშემო ანთებული კელაპტრებით ხელში. შაჰმა მყისვე ბრძანა, სულ ერთიანად ამოეწყვიტათ ისინი. სპარსეთის ჯარმა გარეჯს ალყა შემოარტყა, როგორც რომაულმა ლეგიონებმა მოაქციეს ალყის რკალში იერუსალიმი ძველი აღთქმის პასექის დღესასწაულზე. ცხენოსნების რაზმი მონასტერთან მი-

იჭრა. მათთან შესახვედრად გამოვიდა მონასტრის ილუმენი არსენი და უდიდეს წყალობასავით ითხოვა, დაეცადათ, სანამ ბერები ლიტურგიას აღასრულებდნენ.

სპარსელები დათანხმდნენ. მონაზვნებმა ცოდვები აღიარეს, ერთიმეორისგან შენდობა ითხოვეს და უკანასკნელად ეზიარნენ. გეგონებოდათ, მთელი მათი ცხოვრება შემოიკრიბა ამ ლოცვაში; მას გადააგეს მთელი თავიანთი ძალა, როგორც დაჭრილი არწივი მოიქნევს თავის ძლიერ ფრთებს უკანასკნელად მთელი ძალით. მონაზვნები ეზიარებოდნენ და გარეთ გამოდიოდნენ. სიკვდილი ელოდა მათ კარს უკან. სპარსელები მათ ნაწილებად სხეპდნენ და ღრმა ხევში ყრიდნენ. ბევრი მათგანი მოკლეს ტაძარში, მის საკურთხეველში, ზოგი კი თვით წმინდა ტრაპეზზე დაკლეს უწყალოდ. შემდგომში მათი ძვლები შეკრიბეს და მღვიმე სამარტვილეში დადეს ერთ ლუსკუმაში, როგორც საუნჯეს იუნჯებენ კლდის გულში. გარეჯის მთა, განათლებული მონაზვნების ლოცვითა და ცრემლით, მათი სისხლით შეიცვარა, როგორც სიონის მთა – დილის ნამით; იგი განსპეტაკებულია საღმრთო მადლით, ლიბანის თოვლიანი მწვერვალებივით; მასზე განეფინება უხილავი ნათება, სადარი თაბორის გამაბრწყინებელი ღმრთაებრვი ნათლისა.



შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-სეფის შემდეგ სპარსეთის სამეფო ტახტზე ავიდა შაჰ-აბას მეორე – თითქოს იმისათვის, რომ საქართველოს მის მიერ შეჩვენებული სახელი არ დავიწყებოდა. მისი მეფობის დროს კახეთში ჩაასახლეს ურიცხვი „ულუ-84

სი თათართა“ – თურქული მომთაბარე ტომები, რომლებსაც სპარსეთის ჯარი იცავდა. ბალ-ვენახები გაკაფეს და მათ ადგილზე ცხენების ჯოგები და ცხვრის ფარები მიუშვეს. მომთაბარენი მთელ სოფლებს ატყვევებდნენ და სტამბულისა და ტრაპეზუნდის ბაზრებზე მონებად ყიდდნენ. ჩაქრა საკურთხევლების კანდლები. ალავერდის ტაძარი – კახეთის მშვენება – ღამურების საბუდრად იქცა. საკურთხევლის კრეტსაბმელის ნაცვლად კანკელზე ობობას ქსელი იყო გაბმული. ავდარში მწყემსები პირუტყვს შერეკდნენ ხოლმე დაცარიელებულ ტაძარში. კანკელის ნამტვრევებისგან და ხატების დაფებისგან კოცონებს ანთებდნენ, რათა გამთბარიყვნენ და საჭმელი მოემზადებინათ. საკურთხევლის წმინდა ტრაპეზი სანადიმო მაგიდად აქციეს და მასზე კოჭებით თამაშობდნენ. საფლავები, რომლებიც წმინდა იყო კახელებისთვის, პირუტყვის მიერ დატოვებული სიბინძურით შეიბილწებოდა. სამთარში ტაძრის ცარიელ და ბნელ სარკმლებში, თავის ქალის თვალების განაჭრებს რომ მიმსგავსებოდნენ, საშინელი სტვენით ქროდა ქარი, ზაფხულში კი ბუს – ღამის ფრინველის კივილი მიცვალებულის დამტირებელი ქალის მოთქმა-გოდებასავით ისმოდა.

ამ მძიმე ვითარებაში კახელმა თავადმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა გადაწყვიტეს: ეხსნათ კახეთი, ან მომკვდარიყვნენ. ქსნის ერისთავები მცირერიცხოვანი ჯარითა და მთიულების საბრძოლო რაზმით სწრაფად, გედეონის ლაშქარივით დაატყდნენ თავს სპარსელ-თათართა ურდოებს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ახმეტასთან. მებრძოლთა თავზე ალავერდის ტაძრის მფარველი – წმინდა გიორგი იხილვებოდა ზეცაში. აუხსნელი შიშისგან შეძრწუნებული მომთაბარეები იარაღს ყრიდნენ და გარბოდნენ, როგორც თავზარდაცემული სირიელები – სამარიის ზღუდის კედ-

ლებიდან, სადაც ელისე წინასწარმეტყველი ლოცულობდა. ისინი, ვინც ცოტა ხნის წინ კახეთს თელავდა და თრგუნავდა, ახლა გაქცევითლა შველოდა თავს. ასე ხტებიან ადამიანები ქარიშხლისაგან დამსხვრეული ხომალდიდან: ვინ ნაფში ხტება სასწრაფოდ, ვინ ანძის ნამსხვრევს ებლაუჭება, ვინ პირდაპირ ეშვება ზღვაში. აზვირთებული ტალღები იმარხავენ მათ თავიანთ მორევში; ბოლოს ორიოდ მოცურავე აღწევს ნაპირს და შეძრწუნებული უყურებს ზღვას — მისი თანამგზავრების საფლავს... მომთაბარეთა მთელი ჯარიდან მხოლოდ სულთანი და რამდენიმე თათარი გადარჩნენ ცოცხლები; სულთანი არაბულმა ტაიჭმა იხსნა, და კიდევ იმან, რომ მან ყველაზე პირველმა მოისაზრა ბრძოლის ველის დატოვება.

შაჰმა თავადების გასამართლება მოითხოვა. სპარსელების ახალი შემოსევის თავიდან ასაცილებლად ისინი თავიანთი ნებით წავიდნენ ისპაჰანში. ასე ნერონის დროს სიკვდილმისჯილი ქრისტიანი მოწამეები თავიანთი ფეხით უშიშრად მიდიოდნენ მშიერ ლომებთან, ან ცეცხლში ცვიოდნენ. სამი თავადი შაჰმა მოკლული თათრების ნათესავებს ჩაუგდო ხელში.

მაჰმადიანების ჩვეულებისამებრ, მათ ქრისტესგან განდგომა და ისლამის მიღება შესთავაზეს თავადებს, სანაცვლოდ კი შენდობა და თავისუფლება აღუთქვეს. შარიათის კანონით, ვინც ისლამს მიიღებდა, ყოველგვარი პასუხისმგებლობა ეხსნებოდა უწინდელ ქმედებებზე. მუჰამედის რჯულის მიმღებს მოწმეების თანდასწრებით უნდა წაეკითხა ყურანის პირველი სურა. ამ მოთხოვნის საპასუხოდ თავადებმა ხმამაღლა წარმოთქვეს „მრწამსი“ და „მამაო ჩვენო“. მათ ჯვრის ნიშით აღიბეჭდეს სხეულები, ერთიმეორეს მოეხვივნენ გამოსამშვიდობებლად, და წამებისთვის გაემზადნენ. თათრებმა მათ ტანსაცმელი შემოაგლიჯეს, წელამდე გააშიშველეს, თაფლი წაუსვეს და ქალაქის

მოედანზე დაყარეს. ურიცხვი კელა და კრაზანა დაეხვია თავადებს. ნაკბენების შხამისგან და მცხუნვარე მზის გულზე დიდხანს ჯდომისგან მათი სხეულები გასივდა და გაშავდა. წამება, რომელიც ნელ ცეცხლზე დაწვას ჰგავდა, მთელ დღეს გრძელდებოდა. მზე უმოწყალო ჯალათად ეჩვენებოდათ მოწამეებს, გუნდ-გუნდად დასეული აბეზარი მწერები კი, პირში და ნესტოებში რომ უძვრებოდნენ, – გველებად, რომლებიც სალტეებივით შემოჭდობოდნენ მათ და კბილებს სხეულში ასობდნენ. ელიზბარს და შალვას ხელ-ფეხი მოჰკვეთეს. ამის აღსრულების პატივი მოკლული თათრების უახლოეს ნათესავებს მიენიჭათ. შემდეგ მათი სხეულების მოკვეთილი ნაწილები სამიზნეებად დადეს და ყოველ თათარს, ვინც მათ ტყვიას გაარტყამდა, შეეძლო ეთქვა, რომ შურისძიების ვალი აღასრულა.

ბიძინას განუმზადეს სატანჯველი, რომლითაც ძველ სპარსეთში სჯიდნენ ორმუზდის, ან მისი „მიწიერი განსახიერების“ – სპარსეთის მეფის შეურაცხყოფლებს.

ასეთი წამებით დასაჯეს დიდი მოწამე იაკობ სპარსი. ჯალათმა ბიძინას მარწუნით დააძრო ხელებისა და ფეხების ფრჩხილები, და მისი სხეულის ასო-ასოდ აქნას შეუდგა. ამგვარი წამების დროს უბედური მსხვერპლი ტკივილისაგან ადამიანის ენას იგიწყებს და მხეცივით ღრიალებს, ბიძინას კი ერთი კვნესაც არ აღმოხდომია. იგი ჩუმად წარმოთქვამდა „მრწამსს“ და „მამაო ჩვენოს“ – მანამ, ვიდრე უკანასკნელი სასიცოცხლო ძალა არ წაერთვა. შემდეგ ჯალათმა ჩვეული მოძრაობით გაუჩეხა მკერდი, ამოგლიჯა გული და მიწაზე დააგდო. წმინდა მთავარმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილის გული ბრბოს ფეხებთან ეგდო, როგორც ეგნატე ღმერთშემოსილის გული – ცირკის არენაზე ველურ მხეცებს შორის.



ხატი „დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა“ არის არა მარტო დიადი წარსული, არამედ საქართველოს მომავალიც. საქართველოს წმინდანები ცხოველმყოფელი სვეტის წინაშე დგანან, როგორც მეომრები – საბრძოლო დროშასთან, როგორც ანგელოზები – საღმრთო საყდრის წინაშე. მათ აცისკროვნებს სხივები საუფლო კვართისა – დაუვალი მზისა, რომელიც მშვიდ, მხიარულ ნათელს აფრქვევს მიწის წიაღიდან – სიდონიას საფლავიდან. დგება მიმწუხრი. აპოკალიფსის აჩრდილები ღრუბლებივით ჩამოაწვენ მსოფლიოს. წმინდანები უსიტყვოდ ლოცულობენ.



იბეჭდებოდა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“